ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

კესო გოგიჩაძე

თათია შარიფაშვილი

უმაღლესი განათლების მიღების მოტივი საჯარო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებში
(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგალითზე)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

(თსუ) ასოცირებული პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

(თსუ) ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია

თბილისი,2019 წელი

ანოტაცია

განათლება ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლება და სხვისი უფლებების გაცნობიერების გარანტიის საფუძველია,ის აუცილებელია მშვიდობისა და ტოლერანტობისთვის,უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და შესაბამისი ხარისხის.განათლება მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ინდივიდების, ასევე საზოგადოების განვითარებისთვის.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება უმაღლესი განათლების მიღების მოტივების შესწავლას ბაკალავრიატის საფეხურის,სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტებში.კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს,რომ განვსაზღვროთ,თუ რა აღძრავს ახალგაზრდების განათლების მიღების სურვილს და რა ფაქტორები ახდენენ განათლების მიღების მოტივზე გავლენას.კვლევის ამოცანები შემდეგში მდგომარეობს:კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივების ინდენტიფიცირება,საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივების ინდენტიფიცირება, რამდენად განსაზღვავს კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივებს ბურდიესეული ეკონომიკური,კულტურული და სოციალური კაპიტალები.

კვლევის ფარგლებში, პირველ ეტაპზე განხორციელდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული თეორიების მიმოხილვა;მოტივაციისადმი ბიჰევიორისტული და ჰუმანისტური მიდგომა,აბრაამ მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია,ადამიანური კაპიტალისა და სიგნალის ეფექტის თეორიებისა და ბურდიეს ეკონომიკური,სოციალური და კულტურული კაპიტალის თეორიების განხილვა.შემდეგ ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა,რომელიც მოიცავდა პირისპირ ინტერვიუს.კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 310 რესპონდენტი.

კვლევის ძირითადი მიგნებების მიხედვით,გამოვლინდა სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების შემდეგი მოტივები:ცოდნის გაღრმავება,პიროვნული ზრდის

სურვილი,დასაქმების,მაღალი შემოსავლის მიღების სურვილი,კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობა,პროფესიული გამოცდილებისა და დიპლომის მიღების სურვილი.სტუდენტთა უმეტესობისათვის უმაღლესი განათლების ძირითად მოტივად ცოდნის მიღება დასახელდა.უნივერსიტეტის დონეზე კი გამოვლინდა,რომ ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის განათლების მიღების მოტივი არის ცოდნის გაღრმავება,რომელიც მიესადაგება შინაგანი მოტივაციის ტიპს,ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის განათლების მიღების მოტივი არის დასაქმება,რომელიც მიესადაგება გარეგანი მოტივაციის ტიპს.კვლევის შედეგად, განათლების მიღების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორებში გამოიკვეთა კულტურული,ეკონომიკური და სოციალური კაპიტალები, რომელთაგანაც სტუდენტთა მოტივზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს კულტურული და ეკონომიკური კაპიტალი,ხოლო ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა სოციალური კაპიტალი,კერძოდ, გამოვლინდა,რომ განათლების მიღების მოტივზე ნაკლებ გავლენას ახდენს მშობლები,ნათესავები,საზოგადოება და ახალი კავშირების შეძენის სურვილი.ამასთანავე,კვლევის შედეგად გამოიკვეთა,რომ სტუდენტთა განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მთავარი მიზანი საკუთარ პროფესიაში პროფესიონალად ჩამოყალიბება და კარგი სამსახურის შოვნაა. ადამიანური კაპიტალის თეორიის და რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების შედეგების მიხედვით ვლინდება,რომ წარსულში დახარჯული ენერგია მომავალში უნდა ანაზღაურდეს.

Abstract

Education is a fundamental right of any human being and the basis for guaranteeing the rights of other person.It is essential for peace and tolerance, It should be accessible to everyone and snd shoul have appropriate quality. Education is important for the development of specific individuals and society.

The master's thesis is dedicated to studying the motives of higher education in the bachelor's degree, of Faculty of Social and Political Sciences in the private and public university students. The results of the study will enable us to determine what is the motivation of education for young people and what factors have Impact on their motivation of education.

The objectives of the research are as follows: Identification of private university's student's motivation of education,Identification of public university's student's motivation of education,How Burdie's economic, cultural and social capital determines private and public university's students' motivation of education.

In the first stage was carried out the study of the theories related to the research issue; the Behavioristic and Humanistic approaches to motivation, Abraham Maslow's hierarchy of needs, the theories of Pier Burdie's economic,social and cultural capital and theory of human capital and signal effect.In the next stage was carried out Quantitative research. Quantitative research included a face-to-face interview.Within the scope of quantitative research were interviewed 310 respondents.

According to the main findings of the research, are revealed the following motives for students' higher education:deepen the knowledge, desire for personal growth, employment, willingness to get higher income, prestige of particular specialty, experience and professional diploma.The desire for personal growth, desire for personal growth, willingness to get higher income, prestige of particular specialty, desire to get professional experience and diploma.For the most students the main motivation for higher education was to get the knowledge. At university level it was revealed that the motivation for most of the students of Javakhishvili

State University is to deepen the knowledge that applies to the type of inner motivation, and the motivation for most of the students of the Caucasus University is employment that applies to the type of external motivation. As a result of the research, the main driving factors for education are cultural, economic and social capital, of which cultural and economic capital is the most influential on student motivation, and the least important factor is the social capital, in particular, it has been revealed that parents, relatives, society and the desire to acquire new connections have less impact on the motivation of education. In addition, the research revealed that the main purpose of investing in student's education is to be a professional in his profession and to get a good job. According to the results of human capital theory and the results obtained by the respondent's surveys, it is revealed that the energy spent in the past must be reimbursed in the future.

სარჩევი

შესავალი 6

საკვლევი საკითხის აქტუალობა 6

კვლევის მეთოდოლოგია 10

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 14

განათლება 14

მოტივაცია 19

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია 20

ბიჰევიორისტული მიდგომა მოტივაციისადმი 23

ჰუმანისტური მიდგომა მოტივაციისადმი 24

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია 25

უმაღლესი განათლება 27

შემოსავალი და დასაქმება 30

დიპლომი 36

განათლების ეფექტის ანალიზის თეორიები 37

პიერ ბურდიე 40

კვლევის შედეგები 46

სიგნალის ეფექტის თეორია და დიპლომი 56

უმაღლესი განათლების როლი დასაქმებაში 57

კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივები და პიერ ბურდიეს კაპიტალის თეორია 57

ადამიანური კაპიტალი და განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მიზანი 58

დასკვნა 60

ბიბლიოგრაფია 63

დანართი #1 67

დანართი #2 84

შესავალი

საკვლევი საკითხის აქტუალობა

თითოეული ქვეყნის განვითარებისთვის განათლება არის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი პროცესი,რომელიც უზრუნველყოფს თაობიდან თაობისთვის დაგროვილი ცოდნის,ღირებულებებისა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების გადაცემას.განათლება საზოგადოებაში პოზიტიურ ფუნქციას ასრულებს,ის ეხმარება ადამიანს საკუთარი თავისა და ცხოვრების სწორი გზის განსაზღვრაში.საქართველოს მთვარობის ერთ-ერთი მთვარი პრიორიტეტია ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება,რომელიც დეკლარირებულია, როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებას და პირობას ქვეყნის განვითარებისთვის. (საქართველოს განათლების, 2017, გვ. 3).

უმაღლესი განათლება მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.ინოვაციის და კვლევის მხრივ ის ქმნის ახალ ცოდნას და ახალ სამუშაო ადგილებს. უმაღლესი განათლება განიხილება, როგორც „ეკონომიკის ძრავა"(განათლების პოლიტიკის, 2013, p. 3). აღსაღნიშნავია,რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში, უმაღლესი განათლება საქართველოში ფართოვდებოდა. მაგალითად,საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სხვადასხვა წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ვლინდება,რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა 2011 წლიდან 2018 წლამდე ყოველ წლიურად იზრდებოდა, კერძოდ კი 2011 წელს სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში იყო - 95 100, ხოლო 2018 წელს სტუდენტთა რიცხოვნობამ 147 700-ს მიაღწია. (განათლება, 2018) უმაღლესი განათლების სისტემის გაფართოების ეს ტენდენცია ერთის მხრივ შეიძლება დავაფუძნოთ იმ იდეას,რომ მეტი განათლება არის სარგებლის მომტანი საზოგადოებისა და ინდივიდისთვის,როგორც სოციალური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით (Machin &

McNally, 2007) გარდა ამისა,როგორც ევროპის უნივერსიტეტის ინსტიტუტის პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი ლელა ჩახაია აღნიშნავს,უმაღლესი განათლების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს მისი მნიშვნელობა პირად ცხოვრებაზე, სოციალურ-კულტურულ სტატუსსა და ეკონომიკირ მდგომარეობაზე (ჩახაია, 2018).

აღსანიშნავია,ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ 2018 წელს საქართველოში ჩატარებული საზოგადოების განწყობის კვლევის შედეგები,რომლის მიხედვითაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი რესპოდენტებისთვის (25%) იყო განათლება. საზოგადოების განწყობის კვლევა წლების განმავლობაში ტარდებოდა,შედეგად კი გამოიკვეთა,რომ წლებთან ერთად განათლების მნიშვნელობაც გაიზარდა და როდესაც 2015 წელს ჩატარებულ კვლევაში აღნიშნულ კითხვაზე რესპოდენტთა მხოლოდ 12%-მა დაასახელა,რომ განათლება მათთვის და მათი ოჯახისთის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი იყო, 2018 წელს რესპოდენტთა უფრო მეტმა რაოდენობამ,25%-მა დაასახელა ის ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად(საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018). აღნინიშნული კვლევებიდან ჩანს,რომ საქართველოში იზრდება როგორც განათლების მნიშვნელოვნება,ასევე უმაღლეს განათლებაში ინვესტირების ტენდენციაც,შესაბამისად საინტერესოა,რომ დადგინდეს,თუ რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში ახალგაზრდების მიერ უმაღლესი განათლების მიღების სურვილს და გამოიკვეთოს,თუ რა არის მათ მიერ უმაღლესი განათლების მიღების ძირითადი მოტივი.

საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში მეცნიერებისა და განათლების სისტემის ცვლილებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.ქვეყანამ შეცვალა გარკვეული მიდგომები, რომლებიც გულისხმობდა ძველი განათლების სისტემის შეცვლას და ახალის დამკვიდრებას. რაც მსოფლიოში კონკურენტუნარიანი იქნებოდა. (საქართველოს განათლების, 2017, გვ. 3) .

უმაღლესი განათლება სხავდასხვა ფუნქციას ასრულებს,როგორც ინდივიდებისათვის ასევე მთელი საზოგადოებისათვის.ინვესტიციის ჩადება უმაღლეს განათლებაში მნიშვნელოვანია,როგორც ეკონომიკური წინსვლისთვის,ასევე საზოგადოებრივი

წესრიგის შექმნისთვის (Moretti, 2004).განათლება ადამიანური კაპიტალის აკუმულირების მძლავრი საშუალებაა,რომელიც გარკვეულწილად იძლევა როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური კეთილდღეობის გარანტიას.აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ბურდიეს ეკონომიკური,სოციალური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობა და მათი გავლენა ახალაგაზრდების მიერ უმაღლესი განათლების მიღების მოტივის განსაზღვრაში.

ხაზგასასმელია უმაღლესი განათლების როლის მნიშვნელოვნება,როგორც დასაქმების შანსების ზრდის,ასევე დასაქმებულთა ანაზღაურების რაოდენობის საკითხში.კავკასიის ბარომეტრის გამოკითხვის შედეგად ჩატარებულ კვლევაში იკვეთება, რომ საქართველოში 24-65 წლის უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს დაახლოებით 20%-ით მეტი შანსი აქვთ,რომ იყვნენ დასაქმებულები,ხოლო ვინც დასაქმებული და უნივერსიტეტდამთავრებულია მათი საშუალო და მაღალი ანაზღაურების (თვეში 250$-ის ექვივალენტზე მეტი ხელფასი) მიღების ალბათობა 15%-ით მეტია, ვიდრე დანარჩენ დასაქმებულებში (ჩახაია, 2018).

კვლევის ფარგლებში უნდა დადგინდეს უმაღლესი განათლების მიღების მოტივები კერძო და საჯარო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებში.მიღებული კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, რომ განვსაზღვროთ,თუ რა აღძრავს ახალგაზრდების განათლების მიღების სურვილს,რა ფაქტორები ახდენენ განათლების მოტივზე გავლენას და არსებობს,თუ არა განსხვავება კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების მოტივაციებს შორის.

განათლების მიმართ ახალგაზრდების,კერძოდ ბაკალავრიატის სტუდენტების დამოკიდებულების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდების განვითარება სახელმწიფოს დღის წესრიგში დგას და წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს.სინი წარმოადგენენ მთავარ ძალას ყველა რეგიონის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით.სწორედ ახალგაზრდები არიან ქვეყანაში ცვლილებების შემომტანები და სხვადასხვა სფეროების განმავითარებლები.ისინი წარმოადგენენ საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს,როგორც რაოდენობრივად,ასევე მომავალი

განვითარების თვალსაზრისით სწორედ ახალგაზრდების შეხედულებები,მიდგომები,იდეები და ქცევები აყალიბებს იმ საზოგადოების მომავალს, რომელშიც ეს ახალგაზრდები ცხოვრობენ. (ომანაძე, და სხვ., 2017, გვ. 12)

როგორც ნეიროფსიქოლოგი და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა პროფესორი, თამარ გაგოშიძე აღნიშნავს,ახალგაზრდებს გარკვეულწილად უკვე განვლილი აქვთ განვითარების კრიზისული პერიოდი,გარდატეხის ასაკი,რომლის დროსაც მნიშვნელოვნად იცვლება ფიზიკური და შინაგანი მდგომარეობა,სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება.ამ პერიოდიდან რადიკალურად იცვლება მათი აზროვნება,მათ უკვე შეუძლიათ თავისუფლად განზოგადება,ლოგიკური მსჯელობა,დასკვნების გამოტანა, ალტერნატივების დანახვა და გაგება,ისინი უკვე მიმართულები არიან ცხოვრების საზრისის ძიებისაკენ,უფრო მეტად მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისკენ და ბევრს ფიქრობენ საკუთარი თავის შესახებ,შესაბამისად ახალგაზრდებს აქვთ გარკვეული წარმოდგენა თავიანთი განათლების მიღების მოტივაციაზე და იმ ფაქტორებზე რომლებიც გავლენას ახდენენ მათი განათლების მიღების მოტივზე. (თამარ გაგოშიძე, თ. გ.)

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია, დავადგინოთ განათლების მიღების მოტივი საჯარო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებში(სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგალითზე).

მიზნის მისაღწევად განისაზღვრება შემდეგი ამოცანები:

- კერძო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივების ინდენტიფიცირება

- საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივების ინდენტიფიცირება

- რამდენად განსაზღვავს კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების მოტივებს ბურდიესეული ეკონომიკური,კულტურული და სოციალური კაპიტალები

კვლევის ჰიპოთეზა:

სტუდენტებისთვის განათლების მიღების მოტივზე სოციალურ კაპიტალზე მეტად ეკონომიკური კაპიტალი ახდენს გავლენას.

- **კვლევის არეალი:** თბილისი

- **კვლევის ობიექტი**: კავკასიის უნივერსიტეტის და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები.

- **სამიზნე ჯგუფი:** საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები

- **კვლევის ინსტრუმენტი:** სტრუქტურირებული ინტერვიუ

- **კვლევის მეთოდი:**
  რაოდენობრივი კვლევა- პირისპირ ინტერვიუ

- **შერჩევის მეთოდი:**სტრატიფიცირებული შერჩევა

- **შერჩევის ზომა:** კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 310 სტუდენტი. მათ შორის 100 კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი,ხოლო 210 ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.კვლევა განხორციელდა პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა მიმართულების სტუდენტებში.

კავკასიის უნივერსიტეტში გამოიკითხა სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შემდეგ მიმართულებებზე:

1. სოციოლოგია - 20 სტუდენტი
2. ევროპისმცოდნეობა - 20 სტუდენტი
3. ფსიქოლოგია -20 სტუდენტი
4. ინგლისური ფილოლოგია-20 სტუდენტი
5. ისტორია -20სტუდენტი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიკითხა სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ შემდეგ მიმართულებებზე:

1. პოლიტიკური მეცნიერება -35 სტუდენტი
2. საერთაშორისო ურთიერთობები -35 სტუდენტი
3.სოცილაური მუშაობა-35 სტუდენტი
4.საზოგადოებრივი გეოგრაფია-35 სტუდენტი
5.ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია-35 სტუდენტი
6. სოციოლოგია -35 სტუდენტი

რესპოდენტთა კომპოზიცია:

შეზღუდული რესურსები გამო პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა მხოლოდ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან.საერთო ჯამში, ორივე უნივერსიტეტიდან პირისპირ ინტერვიუს საშუალებით გამოიკითხა 310 სტუდენტი.სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულებაზე არსებული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე კი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტდან გამოიკითხა 210 რესპონდენტი, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტიდან 100 სტუდენტი.

მიღებული მონაცემების დამუშავდა და შედეგების გაანალიზება მოხდა „SPSS”-ის მონაცემთა ელექტრონული ბაზით.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა დროის სიმცირის გამო ტარდება მხოლოდ თბილისში და არა საქართველოს მასშტაბით,თუმცა საინტერესო იქნებოდა თბილისსა და რეგიონებში ჩატარებული

კვლევის შედარება,ასევე საინტერესო იქნებოდა მშობლებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართვა, რაც საკვლევი საკითხის მათი პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას მოგვცემდა.გარდა ამისა, დროის სიმცირის გამო კვლევა ჩატარდა მხოლოდ პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საფეხურის სტუდენტებში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

განათლება

კლასიკური პედაგოგიკის მიხედვით განათლება არის სისტემატიზირებული ცოდნის შეძენის პროცესი და შედეგი.სისტემატიზირებული ცოდნა თავის თავში შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა რწმენებს,შეხედულებებს,უნარ-ჩვევებს,შემეცნებით ძალებსა და პრაქტიული მომზადების ერთობლიობას.შესაბამისად განათლება თავისთავად მოიაზრებს აღნიშნული უნარების დაუფლებასა და შედეგს.განათლება საზოგადოების კულტურასთან მიმართების თავისებურ ფორმას წარმოადგენს და მიმართულია პიროვნების როგორც მორალური და ინტელექტუალური ასევე ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ.განათლების მიღწევა ხორციელდება მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ცოდნის და უნარ-ჩვევების გადაცემითა და მოსწავლეთა მიერ აღნიშნულის სხვადასხვაგვარი შეთვისებით.გადაცემის პროცესში მხოლოდ პირდაპირი გზით გადაცემა არ მოიაზრება,არამედ ის მოიცავს მასწავლებლების როლს ცოდნის შერჩევისა და გადაცემის პროცესში (ქიტაშვილი, 2016, გვ. 8).

განთლება არის ადამიანების უფლებების განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალება. უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მქონე საგანმანათლებლო სისტემა, უკეთესად შეასრულებს მის ძირითად მისიას, რაშიც იგულისხმება განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობას. (გოლობი, კრაფი, ოლაფსდოტირი, & ვეიდიგერი, 2013, p. 25).

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლის მიხედვით, განათლების უფლება ყველა ადამიანს აქვს.მუხლში აღნიშნულია,რომ დაწყებითი განათლება არის სავალდებულო,მათ შორის უფასო უნდა იყოს ზოგადი განათლება, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლება.26-ე მუხლში ასევე აღნიშნულია,რომ განათლება პიროვნების

უფლებების,თავისუფლების პატივისცემისა და განვითარების გაძლიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული.ის გაერთიანებული ერების მშვიდობის შესანარჩუნებლად ნებისმიერი ადამიანის რასობრივ ურთიერთობებს,შემწყნარებლობასა და მეგობრობას უნდა უწყობდეს. გარდა ამისა აღნიშნულია,რომ ყველა მშობელს თავისი შვილისთვის განათლების არჩევის პრიორიტეტი გააჩნია (ასოციაცია, 1999).

 რაც შეეხება თავად სისტემას,მასში იგულისხმება გარკვეული ელემენტების სიმრავლე,რომელთა შორის არსებული კავშირებიც ერთ მთლიანობას ქმნის,თუმცა უნდა აღინიშნოს რომ მათი ნებისმიერი სახის სიმრავლე არ გულისხმობს სისტემას.ელემენტის ადგილი განისაზღვრება მის მიერ მთლიანობაში დაკავებული ფუნქციით.

 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,განათლების სისტემაში უნდა მოიაზრებოდეს ცოდნის გადაცემის პროცესისთვის საჭირო დაწესებულებების ერთობლიობა,რომელიც უნდა იყოს დაფუძნებული საერთო პრინციპებზე და ურთიერთობებზე (ქიტაშვილი, 2016, გვ. 8).

 აღსაღნიშნავია,რომ განათლების სისტემის მიზნები გარკვეულწილად განპირობებულია იმ ეკონომიკური თუ პოლიტიკური წყობით,რომელშიც ის იშვა.შესაბამისად,ყველა სახელმწიფოში არსებული დაწესებულებების სტრუქტურა რომელიც არსებობს განათლების სისტემაში არის განსხვავებული.აქედან გამომდინარე კი შესაძლოა ვთქვათ,რომ მსოფლიოში განათლების სისტემის სხვადასხვაგვარი ხედვა მოქმედებს (ქიტაშვილი, 2016, გვ. 8).

 ერთ-ერთი ამერიკელი სოციოლოგის ჩარლს კულის მოსაზრებით, განათლება სოციალური მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია,რომელსაც გადამწყვეტი როლი აქვს ადამიანის ფორმირების პროცესში.ხოლო გერმანელი სოციოლოგის მაქს ვებერის მოსაზრების მიხედვით სწორედ განათლების საშუალებით განსაზღვრავს გარკვეული ცოდნა,უნარი,კვალიფიკაცია და პროფესიული ხელოვნება ადამიანის ადგილს საზოგადოებრივ სოციალურ სტრუქტურაში(სამინისტრო ს. გ., 2017, გვ. 40).

ტ.შულცი აღნიშნავდა,რომ განათლება უზრუნველყოფს, როგორც კულტურას ასევე საზოგადოების მსოფლმხედველობისა და შეფასების ფართო დიაპაზონს.განათლება მომავალი თაობისათვის უკეთესი განათლების უზრუნველყოფისა და უკეთესი მომავლის შექმნის შესაძლებლობას იძლევა (სართანია, თოქმაზიშვილი, & მარლაკელიძე, 2004, გვ. 45).

ადამ სმიტი განათლებაზე საუბრისას აღნიშნავდა,რომ განათლება როგორც არაპირდაპირ, ასევე პირდაპირ სარგებელს აძლევს სხვადასხვა ადამიანებს.იგი აღნიშნავდა,რომ მშრომელთა მასა განათლების გარეშე გაუცხოვდება საზოგადოებისაგან,შედეგად კი შესაძლოა შეიქმნას მათი განხეთქილების საშიროება.

ა.მარშალი საუბრობდა არაპირდაპირ და პირდაპირ სარგებელს შორის განსხვავებაზე.ის აღნიშნავდა,რომ უმაღლესი განათლება იძლევა მცირე პირდაპირ სარგებელს.ის ადამიანის გონების აქტიურობის პროცესში გარკვეული სტიმულის როლს ასრულებს,ადამიანს უფრო მეტად ორგანიზებულს,ცნობისმოყვარესა,საიმედოს ხდის და წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან საშუალებას.მარშალის მოსაზრებით განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა სოციალური ფენების ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში.აღსაღნიშნავია,რომ განათლებას არაპირდაპირი სარგებელიც მოაქვს.მარშალის აღნიშნავდა,რომ განათლებაზე კერძო და საზოგადოებრივი დანახარჯები წარმოადგენს საინვესტიციო რესურსს,რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედებს და ადამიანებს სარგებლის მიღების საშუალებას აძლებს (2004, გვ. 14-16).

მაქს ვებერი მიიჩნევდა,რომ განათლება ფორმალური რაციონალურობის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც სხვადასხვა სოციალური ფუნქციები აქვს.სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებით,განათლება გამოირჩევა რაციონალურობის ძალიან მაღალი ხარისხით.ადამიანებში ცოდნა განსაკუთრებული წესით არის მიღებული და იგი დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.დოკუმენტის მიღება საჭიროებს სპეციალური გამოცდების ჩაბარებას.ვებერი მიიჩნევს,რომ განათლების

დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება სოციალურად პრესტიჟულია,რადგან თანამედროვე საგამოცდო სისტემა სპეციალიზაციაზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია,რომ ვებერი უპირატესობას გამოცდების თანამედროვე სისტემას ანიჭებს,რადგან განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი დასაქმებისთანავე ადამიანისთვის უპირატესობას მოიტანს.თანამედროვე საზოგადოებაში განათლების დამადასტურებელი დიპლომი ისეთივე მნიშვნელოვანია როგორც გვაროვნული კუთვნილება. (ქეცბაია, 2017)

ვებერი გამოყოფს ქარიზმატულ განათლებას,რომელიც ადამიანის ნიჭის აღმოჩენაზეა მიმართული ასეთი ტიპის განათლების მიზანი ახალი უნარების განვითარებაა.ასევე გამოყოფს სპეციალური განათლების ტიპს,რომელიც ადამიანს ამზადებს კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად.ვებერის მიხედვით „არათანამედროვე საზოგადოებაში განათლების მიზანი აღზრდილი ადამიანის ჩამოყალიბება იყო,თანამედროვე საზოგადოებაში კი განათლების მიზანი არის ექსპერტთა ჩამოყალიბება". (ქეცბაია, 2017)

იუნესკომ განმარტა რას უწოდებდა ის განათლების 4 „ნიშანსვეტს", როგორც სტრატეგიას, რომელსაც შეეძლო გამკლავებოდა ამ პრობლემებს:

"1. სწავლა თანაცხოვრებისათვის,რაც ნიშნავს, რომ განათლებამ უნდა განამტკიცოს სტუდენტებში მათთვის საჭირო უნარჩვევები და შესაძლებლობა რათა აღიარონ თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება სხვებზე; გადაჭრან კონფლიქტები; იმუშაონ და დაგეგმონ სხვებთან ერთად საერთო მიზნები და საერთო მომავალი; პატივი სცენ პლურალიზმს და მრავალფეროვნებას (მაგ. გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული); და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში.

2. სწავლა ცოდნისათვის: ეს ნიშნავს, რომ განათლება უნდა დაეხმაროს სტუდენტებს შემეცნების მეთოდების: კომუნიკაციის და ზეპირი მეტყველების, მწიგნობრობის, მათემატიკური აზროვნების და პრობლემის გადაჭრის ხეხების გათავისებაში; შეიძინონ როგორც ზოგადი ფართო განათლება ასევე გარკვეული სფერობის ღრმა ცოდნა, გაიაზრონ უფლებები და პასუხისმგებლობები, და ყველაზე მნიშვნელოვანი

ისწავლონ თუ როგორ უნდა ისწავლონ

3. სწავლა მოქმედებისათვის: განათლება უნდა დაეხმაროს სტუდენტებს შეიძინონ პროფესიული უნარჩვევები, ცოდნა სოციალურ და ფსიქოლოგიურ სფეროებში, რაც საშუალებას მისცემს მათ მიიღონ კომპეტენტური გადაწყვეტილებები სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუციებში, იფუნქციონირონ სოციალურ და სამუშაო ურთიერთობებში, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და გლობალურ გაზრებში, გამოიყენონ ტექნოლოგიური ინსტრუმენტები, გამოიყენონ ტექნიკის მიღწევები, დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნები და გააუმჯობესონ თავიანთი და სხვების ცხოვრების დონე.

4. ნიშანსვეტი განათლება,როგორც "სწავლა არსებობისათვის',რომელმაც წვლილი უნდა შეიტანოს პიროვნების განვითარებაში და ხალხს მისცეს დამოუკიდებლად მოქმედების, ფხიზელი განსჯის, კრიტიკული აზროვნებისა და პირადი პასუხისმგებლობის აღების საშუალება. ის მიზნად უნდა ისახავდეს ადამიანური პოტენციალის ყველა ასპექტების განვითარებას მაგ: მეხსიერება, არგუმენტაცია, ესთეტიკის შეგრძნება, სულიერი ღირებულებები, ფიზიკური და კომუნიკაციის უნარჩვევები; ჯანმრთელი ცხოვრების სტილი, სპორტი და დასვენება, პიროვნული კულტურის დაფასება, ეთიკური და ზნეობრივი კოდექსის ფლობა საკუთარი თავის დაცვის გამოხატვის უნარი, ცხოვრებისეული სიმტკიცე' (Europe, 2004)*'.*

იუნესკო აღნიშნავს,რომ განათლება გარდაქმნის ცხოვრებას,მისი მიღება ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლება და სხვისი უფლებების გაცნობიერების გარანტიის საფუძველია.ის აუცილებელია მშვიდობისა და ტოლერანტობისთვის, უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და შესაბამისი ხარისხის.იუნესკო სწორედ განათლების საშუალებით ცდილობს მშვიდობის დამკვიდრებას,მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და სწორედ მას ხედავს, სრული დასაქმების მიღწევისა და სიღარიბის აღმოფხრის საშუალებად (UNESCO, 2016, გვ. 7).

მოტივაცია

მოტივაცია განათლების ფსიქოლოგთა და ექსპერტთა აზრით არის მამოძრავებელი ძალა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები თავიანთ მიზნებს აღწევენ.მოტივაცია ადამიანს აძლევს ძალას, რომ მიაღწიოს შესრულების მაღალ დონეს და დაძლიოს ბარიერები იმისთვის, რომ შეიცვალოს.მოტივაცია არის ადამიანის ქცევის მამოძრავებელი,მაკონტროლებელი,სიმტკიცისა და გამძლეობის მიმცემი ძალა (Tohidi, 2012, p. 820). რაც უფრო მაღალია მოტივაცია, მით უფრო მაღალია სხვადასხვა შედეგის მიღების სურვილი და ხარისხი.ის თითოეულ ჩვენგანს გვაძლევს სტიმულს.მოტივი უწყობს ხელს შედეგის დადგომას, რომელიც ზოგჯერ შეიძლება იყოს დადებითი ან ნეგატიური ხასიათის.ამერიკელი ფსიქოლოგის დევიდ პოლ ოსბელის მოსაზრებით,მოტივაცია არ არის მნიშვნელოვანი კომპონენტი,არამედ ის არის საჭირო მდგრადი სწავლებისთვის (Ausubel, 1968, p. 397).

მოტივაცია არის თეორიული კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება იმისთვის,რომ ავხსნათ ქცევის ინიციატივა,მიმართულება, ინტენსივობა, დაჟინებული ხასიათი,ქცევის ხარისხი და განსაკუთრებით მიზანმიმართული ქცევა.მოტივი არის ჰიპოთეტური კონსტრუქტი, რომელიც ასახვს იმას, თუ რატომ აკეთებს ხალხი იმას, რასაც აკეთებს.მოტივები, როგორც წესი, განიხილება, როგორც ზოგადი საჭიროებები ან სურვილები,რომლებიც ადამიანებს ენერგიას აძლევენ მიზანმიმართული სამოქმედო ქმედების განხორციელელბისთვის.სტუდენტური მოტივაცია დაკავშირებულია სტუდენტების სუბიექტური გამოცდილებასთან. განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია გაკვეთილებთან,სწავლის პროცესთან და მათი შესრულების მიზეზებთან(Brophy, 2004, p. 4).

ადამიანები იბადებიან მოტივაციის გაძლიერების შესაძლებლობის პოტენციალით.ეს გარკვეულწილად ადამიანის მდგომარეობის ნაწილია და შესაძლებელია,რომ ყველას გააჩნდეს.თუმცა, მაგალითად, სწავლის მოტივაცია,შესაძლოა ეტაპობრივად განვითარდეს სასწავლო შესაძლებლობებისა და

სოციალიზაციის გავლენით.სწავლის მოტივაციის სქემა არის ქსელი რომელიც მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ცოდნას,უნარ-ჩვევებს,ღირებულებებსა და დისპოზიციებს,რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს,რომ გააცნობიერონ,თუ რას გულისხმობს აკადემიურ საქმიანობაში ჩართვა სწავლის მიზნების განხორციელებისა და სტრატეგიის გამოყენების შესახებ (Brophy, 2004, p. 17).

სწავლის მოტივაციას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი,რომელიც მოიცავს:

- *განათლების სისტემას*
- *სასწავლო დაწესებულებას*
- *სასწავლო პროცესის ორგანიზებას*
- *სტუდენტების სუბიექტურ მახასიათებლებს(ასაკი,სქესი,უნარები, თვითშეფასება)*
- *პედაგოგების სუბიექტურ მახასიათებლებს(სწავლების სტილი,დამოკიდებულება,სასწავლო საგნის სპეციფიკა)'*(ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 107).

შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

არსებობს მოტივების ორი კლასი – შინაგანი და გარეგანი მოტივი.იმ შემთხვევაში,თუ ადამიანს აქვს შინაგანი მოტივაცია, მის ქცევას საფუძვლად უდევს მისი მოთხოვნილებები და ინტერესები.შინაგანად მოტივირებულ ადამიანებს არ სჭირდებათ დასჯა ან მათი აქტიურობის წახალისება.ხოლო გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში,გარკვეული პიროვნების ქცევა კარგი შეფასების მოპოვებისთვის ხორციელდება,ასევე აღნიშნულ შემთხვევაში ქცევა შეიძლება განხორციელდეს

მშობლის სიამოვნებისთვის,დასჯის თავიდან არიდების მიზნით და ა.შ.აღსაღნიშნავია,რომ ასეთ დროს ადამიანები იმისთვის კი არ მოქმედებენ,რომ რაიმე აინტერესებთ,არამედ მხოლოდ იმისათვის,თუ რა შეიძლება ამ ქცევამ მოუტანოს მათ.

ის ზრდასრულები და ახალგაზრდები,რომლებიც არიან შინაგანად მოტივირებულები უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სხვადასხვა საქმეებს,მათ შორის სწავლას, მათ გააჩნიათ როგორც თვითკონტროლის,ასევე თვითრეგულაციის დიდი უნარი და, ზოგადად, სწავლისა და განათლების მიმართ უფრო პოზიტიური განწყობა.ხოლო ის ახალგაზრდები და ზრდასრულები,რომლებიც შინაგანად არიან მოტივირებულები, უფრო მეტად თავდაჯერებულები არიან,ამასთანავე მათ არ აქვთ სხვადასხვა რთული ამოცანის დაძლევის შიში,არამედ პირიქით, ისინი მუდმივად ეძებენ რთული საკითხების უფრო ეფექტურ და ახალ საშუალებებს.

ის ახალაზრდები და ზრდასრულები,რომლებიც გარეგანად მოტივირებული არიან,სხვადასხვა რისკისა და რთული საკითხების მიმართ გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული შიში და როგორც წესი, ასეთი ტიპის ახალგაზრდებისა და ზრდასრულების მიზანია,რომ ყველანაირ სიტუაციაში მიიღონ მაქსიმალური ეფექტი,მაგალითად წახალისება ან ჯილდო, ყოველგვარი რესურსებისა და ენერგიის მინიმალური დანახარჯით.აღსაღნიშნავია,რომ ამ ტიპის სტრატეგია არ არის ეფექტური ადამიანების მიერ დასახული რთული ამოცანების გადასალახად,შესაბამისად უფრო მეტად გასაგები ხდება გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული სტუდენტების მცდელობა,რომლებიც ცდილობენ,რომ რთულ დავალებებს თავი აარიდონ. იმ შემთხვევაში,თუ ადამიანის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქნება გამოყენებული გარეგანი მოტივაცია,თითქმის შეუძლებელი იქნება,რომ ამ ადამიანმა დიდ წარმატებას მიაღწიოს.ადამიანები შეიძლება ერთ სიტუაციაში იყვნენ ერთდროულად როგორც გარეგანი,ასევე შინაგანი მოტივებით.რამდენადაც მოტივაცია როგორც გარემოს სხავდასხვა ფაქტორს, ასევე სხვადასხვა პიროვნულ ნიშნებს მოიცავს (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 108-110).

განხილული თეორიული მიდგომა უკავშრდება ფილიპ კარეს,რომლის მიხედვითაც მოტივაციის შინაარსის მიხედვით შეგვიძლია გავიგოთ,თუ რა განაპირობებს სტუდენტების ცოდნის მიღების მიზეზებს.

შინაგან მოტივაციაში გამოიყოფა სხვადასხვა მოტივაციები:

- ეპისტემიკური მოტივი, რომლის დროსაც ცოდნა არის სიამოვნების მიღების განმაპირობებლი ფაქტორია.სწავლა ადამიანს ასეთ დროს ანიჭებს სიამოვნებას და მისი მიზანი ხდება, ის, რომ განავითაროს საკუთარი თავი.
- სოციო-ემოციური მოტივი,რომლის დროსაც ინდივიდები დაინტერესებულნი არიან ახალი სოციალური კონტაქტების მოპოვების მიზნით.
- სასიამოვნო მოტივი,რაც გულისხმობს, რომ სწავლის პროცესში მყოფი ადამიანები ბედნიერები არიან თავიანთი სასწავლო გარემოთი.

ფილიპ კარე ასევე გვესაუბრება გარეგან მოტივაციაზე, რომლის მიხედვითაც გარეგანი მოტივაცია დაკავშირებულია ჯილდოზე, რომელსაც ვიღებთ სწავლის პროცესსში.ცოდნის მიღება გულისხმობს სხვადასხვა მოტივის მიღწევას, რომელთაგანაც შესაძლოა გამოვყოთ:

- ეკონომიკური მოტივი-სწავლის პროცესში მონაწილეობის მიზეზები მკაფიოდ არის მატერიალურ სარგებელთან დაკავშირებული.
- პრესკრიფციული მოტივი-ასეთ დროს ინდივიდები ვალდებულების გამო იღებენ ცოდნას, რათა სხვების დაკვეთა შეასრულონ.
- წარმოებული მოტივი-სწავლის პროცესში მონაწილეობის ძირითადი მიზეზი უსაქმურობისგან თავის არიდება.
- პროფესიული ინტერესით გამოწვეული მოტივი-ასეთ დროს ადამიანს ამოძრავებს ის, რომ გახდეს პროფესიონალი საკუთარ საქმეში.

- პირადი ინტერესით გამოწვეული მოტივი-ინდივიდები სასწავლო პროცესიდან იღებენ იმ ცოდნასა რაც, ძირითადად, უკავშირდება ისეთი აქტივობა როგორიცაა თავისუფალი დრო.
- იდენტურობის მოტივი-ასეთ დროს ადამიანს აინტერესებს მხოლოდ კულტურული ან სოციალური სტატუსის მინიჭება.

პროფესიული მოტივი-ასეთ დროს ადამიანს სურს განავითაროს თავისი ცოდნა ან უნარები, რათა შეინარჩუნოს ან უკეთესი სამსახური იპოვოს. (Rothes, Lemos, & Gonçalves, 2013)

ბიჰევიორისტული მიდგომა მოტივაციისადმი

ბიჰევიორისტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ გარეგან მოტივებს,როგორიც არის მაგალითად,შექება და ჯილდო.მათი მოსაზრების მიხედვით,ადამიანები სიამოვნების მისაღებად ან ტკივილის ასაცილებლად მოქმედებენ.ისინი იმ სიტუაციის იდენტიფიცირებას ცდილობენ,რომელიც გავლენას ახდენს სხვადასხვა ქცევის აღმოცენებაზე.მათი მიდგომის მიხედვით,როგორც მოზარდის ასევე ზრდასრულის მოტივაციის გაგება სხვადასხვა ჯილდოებისა და წამახალისებელი სტიმულების ანალიზის დაწყებით უნდა მოხდეს.ჯილდო სწორედ ის სასურველი ობიექტია,რომელიც მოსდევს გარკვეულ ქცევას. სტიმული არის ქცევის აღმძვრელი ან ჩამხშობი მოვლენა ან ობიექტი.მაგალითად, დიპლომი გარკვეული სტუდენტებისათვის წამახალისებელ როლს ასრულებს,ხოლო დასაქმება კი – ჯილდოს როლი აქვს.იმ შემთხვევაში,თუ რაიმე ქცევის გამო ადამიანებს ყოველთვის წაახალისებენ, მათ გარკვეული ტიპის ქცევა ჩამოუყალიბდებათ.აღსაღნიშნავია,რომ შექება მოზარდსა და ზრდასრულს მათ შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის და სწორედ შექება მიუთითებს როგორც მოზარდის ასევე ზრდასრულის კომპეტენტურობაზე,რაც მოტივაციისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გარეგანი მოტივაციის მქონე ადამიანები მიმართულები არიან ჯილდოს მოპოვებისკენ,ხოლო ის ადამიანები რომლებთაც შინაგანი მოტივაცია აქვთ შინაგან კომპონენტებზე რეაგირებენ.მაგალითად,შინაგან მოტივაციასთან დაკავშირებულია კმაყოფილება და ინტერესი. შინაგანი მოტივაციით მოქმედი ადამიანები დაინტერესებულები არიან,რომ თვითონ იაქტიურონ.შესაბამისად სწავლების მიზანია,რომ მოადინოს ისეთი სასაწავლო პროცესის ორგანიზება,სადაც სტუდენტს ექნება საშუალება,რომ ხშირად ჰქონდეს შინაგანი კმაყოფილების შეგრძნება.სტუდენტები ძალიან რთული დავალებების დროს შინაგან კმაყოფილებას არ განიცდიან.იგივე ეფექტი აქვს ძალიან მარტივ დავალებას,როცა ადამიანი მიისწრაფვის გარეგანი განმტკიცებისკენ,მის ქცევას გარეგანი მოტივი უდევს საფუძვლად,ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც ადამიანისთვის არ მოელის გარეგან განმკიცებას,მაგალითად ჯილდო,მაშინ ის შინაგანი მოტივაციის საფუძველზე მოქმედებს (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 113-114).

ჰუმანისტური მიდგომა მოტივაციისადმი

მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ყურადღებას ამახვილებს მოტივაციის შინაგან წყაროებზე,მაგალითად როგორიც არის პიროვნების თვითრეალიზაციის ტენდენცია(კარლ როჯერსი) და პიროვნების თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება (აბრაამ მასლოუ).ჰუმანისტური მიდგომის მიხედვით,მოტივირება ადამიანის შინაგანი რესურსების თვოთშეფასების,თვითაქტუალიზაციისა და კომპეტენტურობის წაქეზებას ნიშნავს.

ჰუმანისტები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის ჯანმრთელ პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ მხოლოდ ცოდნის მიღებაზე ორიენტირებულ სწავლების სტილს, რომელიც აისახება ტესტის შედეგებში.ჰუმანისტები მიდგომის მიხედვით ადამიანების სწავლა უნდა

მიმდინარეობდეს აღმოჩენების გზით და მათ უნდა ჰქონდეთ არა მარცხის, არამედ წარმატების გამოცდილება (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 115).

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქია

აბრაამ მასლოუს მიაჩნდა,რომ ადამიანებს მოთხოვნილებათა მთელი დიაპაზონი აქვთ -დაბალი მოთხოვნილებიდან (მაგალითად, უსაფრთხოება) მაღალ მოთხოვნილებებამდე (მაგალითად,თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება).მასლოუმ მოთხოვნილებების იერარქიული სისტემის სახით დაანაწილა.მან ძირში ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები განალაგა, ხოლო უმაღლეს დონეზე – თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება.

- *მასლოუს მიხედვით არსებობს :,,ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები,რომელიც თანდაყოლილია და ფიზიკურა გადარჩენასთან კავშირში მყოფ მოთხოვნილებებს მოიაზრებს (საკვები,სასმელი, ჟანგბადი, ძილი, და ა. შ.)*
- *უსაფრთხოების და სტაბილურობის შეგრძნების მოთხოვნილება, (მაგალითად,ეკონომიკური,ჯანმრთელობის უსაფრთხოება, კომფორტი, და ა. შ.)*
- *სიყვარულისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილება,რომელიც გულისხმობს ადამიანის მოთხოვნილებას, რომ ეკუთვნოდეს და მიგიიღონ ჯგუფის წევრად.*
- *პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილება,რომელშიც იგულისხმება სხვების მიერ პატივისცემის,აღიარების, წარმატების, და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება.*
- *თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება,რომელიც მოიცავს საკუთარი შესაძლებლობებისა რეალიზების მოთხოვნილებას.(კონკრეტული მიზნის*

მიღწევისკენ სწრაფვა, პოტენციალის მთლიანად გამოყენების,ცოდნის მოთხოვნილება და ა.შ" (ელბაქიძე, და სხვ., 2016).

მასლოუს მიერ დალაგებულ იერარქიულ სისტემაში ყოველი ქვედა საფეხურზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო მაღალი მოთხოვნილების წარმოშობას იწვევს.მაგალითად,თუ თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების ქვემოთ არსებული რომელიმე მოთხოვნილება არ კმაყოფილდება,ადამიანი თვითრეალიზებული ვერ იქნება.ხოლო იმ შემთხვევაში,თუ ყველა არსებული პირობა არის დაცული, ადამიანი ადის განვითარების მაღალ საფეხურზე და ბოლომდე ავლენს თავის შესაძლებლობებს,შესაბამისად არის თვითრეალიზებული. (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 116-117).

აღნიშნული იერარქიის მიხედვით, ადამიანებს მნიშვნელოვანი სააერსებო სურვილების დაკმაყოფილების შემდეგ დიდი ამბიციები უჩნდებათ.აღსღნიშნავია,რომ მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანები,ძირითადად ძალიან შრომისმოყვერეები არიან და საბოლოო მიზნის მისაღწევად წამიერ სიამოვნებაზე უარის თქმა შეუძლიათ.

აბრაამ მასლოუ შედარებით დაბალ საფეხურზე არსებულ მოთხოვნილებებს(უსაფრთხოების,ბიოლოგიური,მიკუთვნებულობის და აღიარების) დეფიციტურს უწოდებდა.იგი აღნიშნავდა,რომ აღნიშნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროს,კლებულობს მათი განხორციელების მოტივაცია,თუმცა ამ დროს ადამიანს მოტივაცია არ ეკარგება,პირიქით, უფრო მეტად იზრდება და დაკმაყოფილებისთვის სხვა საშუელებებს ძიებას იწყებს.გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს,რომ რაც უფრო მეტად არის ადამიანი მიმართული,რომ მაგალითად კარგი მეცნიერი გახდეს, უფრო მეტად სურს მაღალ კვალიფიკაციის მიღწევა.მაგრამ იმ შემთხვევაში,თუ ადამიანი ავლენს მოცემულ თვისებებს, ამაში დიდი როლი განათლების სისტემასაც აქვს (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 117).

უმაღლესი განათლება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ისეთი სისტემის ჩამოყალიბება,რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში უზრუნველყოფს სწავლას და ყველასათვის ხელმისაწვდომ ხარისხიან განათლებას,რათა აღნიშნულმა სისტემამ მომავალი ცხოვრებისთვის მოამზადოს ნებისმიერი პიროვნება და ხელი შეუწყოს მათ როგორც პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას,ასევე დასაქმებას (სამინისტრო ს. გ., 2014, გვ. 9).როგორც სხვადასხვა ასევე ერთნაირ საზოგადოებაში არსებული კულტურული ღირებულებები და მიზნები განსხვავდება ერთმანეთისგან,ასევე განათლების შინაარსიც განსხვავებულია.აღსანიშნავია,რომ განათლება დემოკრატიული მოქალაქისთვის გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას,პრაქტიკას ინფორმაციასა და სხვადასხვა საქმიანობას(Europe, 2010, გვ. 6).

სწორედ განათლების სფეროს ეფექტურობა განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდასა და ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ინსიტუტების განვითარებას.უმაღლესი განათლება,ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სოციალურ ინტეგრაციაში, ეკონომიკურ ზრდასა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის საქმეში.უმაღლესი განათლება, უმნიშვნელოვანესია,როგორც სოციალურ-ეკონომიკური ასევე კულტურული განვითარებისათვის (ბაქრაძე, ლორთქიფანიძე, & ურუშაძე, 2015, გვ. 6).უმაღლესი განათლება სხვადასხვა მიზნის მიღწევას ემსახურება.მათ შორის სტუდენტებს ამზადებს მათი მომავალი კარიერისთვის და აქტიური მოქალაქეობისთვის.მაგალითად:სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა,ცოდნის ფართო ბაზის შექმნა,მათი პიროვნული განვითარების ხელშეწყობა და ინოვაციისა და კვლევების სტიმულირება (ბაქრაძე, ლორთქიფანიძე, & ურუშაძე, 2015, გვ. 8).

საქართველოს კანონის ზოგად დებულებაში,აღნიშნულ უმაღლესი განათლების შესახებ მუხლ 3-ში,მოცემულია საქართველოს უმაღლესი განათლების შემდეგი ძირითადი მიზნები:

„ა)ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ)პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების,კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ)პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირისათვის (პირებისათვის);

დ)სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;

ე)უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება"(საქართველოს პარლამენტი, 2004).

კანონში ასევე აღნიშნულია,რომ საქართველოში არსებობს სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც უმაღლესი განათლების: ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე ხორციელდება.

საქართველოში მოქმედებს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

"ა)კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის -

ბაკალავრიატის-საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

ბ)სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს;

გ)უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირი"(საქართველოს პარლამენტი, 2004).

46-ე მუხლში მოცემულია უმაღლესი განათლების საფეხურების სახეები:

,,1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი ან სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველზე.

2. უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სწავლების საფეხურებია:

ა) ბაკალავრიატი – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები და ოთხ წელიწადზე მეტი;

ბ) მაგისტრატურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს ორ წელიწადზე ნაკლები;

გ) დოქტორანტურა – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს სამ წელიწადზე ნაკლები. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა."(საქართველოს პარლამენტი, 2004).

48-ე მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შესახებ.

„1. ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან

გათანაბრებულ პირს. 2. ბაკალავრიატში სწავლის მიზანია საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კურსდამთავრებულს კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ დიპლომირებულ სპეციალისტს.

4. მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

ბ) სპეციალობის შეცვლა;

გ) კვალიფიკაციის ამაღლება." (საქართველოს პარლამენტი, 2004).

წლების განმავლობაში სახელმწიფო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა სხვადასხვა რეფორმების შესაცვლელად,კერძოდ,შეიქმნა ახალი ტიპის მართვის სისტემა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ასამაღლებლად,რაც მოიცავდა როგორც სწავლების შინაარსისა და მიდგომების შეცვლის პროცესს,ასევე ინფრასტრუქტურის ცვლილებას.თუმცა,მიუხედავად ამისა საქართველოს განათლების სისტემაში დღესაც არსებობს გარკვეული ხარვეზები.

შემოსავალი და დასაქმება

განათლების სფეროს ეფექტურობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს საქართველოს ევროპული ინტეგრაციის წარმატებისათვის.განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს დემოკრატიული და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეთა აღზრდა,სწორედ მან უნდა მოამზადოს კადრები შრომის ბაზრის მოთხოვნებისათვის და სწორედ მან უნდა უზრუნველყოს როგორც საზოგადოების განათლების განვითარება,ასევე დივერსიფიკაცია (სამინისტრო ს. გ., 2014, გვ. 3).

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია უფრო მეტი სამუშაო ადგილების შექმნა,დასაქმება და ისეთი ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობა, რომელიც დაფუძნებული იქნება ინოვაციებზე.აღნიშნულიდან გამომდინარე კი, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად აღიარებულია განათლების სისტემაში არსებული კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014, გვ.3).

განათლებისა და დასაქმების სფეროში,ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა და გლობალიზაციამ შექმნა ახალი შესაძლებლობები.ადამიანები ცდილობენ წარმოაჩინონ ახალი უნარები.შესაბამისად განათლების მთავარი მოტივი უნდა იყოს ახალგაზრდების ცოდნით, უნარ-ჩვევებით შემკობა.ეს ყვალაფერი თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა (საქართველოს განათლების, 2017, გვ. 7).

აღსანიშნავია,რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე არ გროვდება ინფორმაცია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და შემოსავლების შესახებ.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია,რომ პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს მოარგოს.აღსაღნიშნავია,რომ არ არის გამოკვეთილი ის ინდიკატორები, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა სტანდარტის შესაბამის ინდიკატორებს. გარდა ამისა, ის არ არის დეტალურად წარმოდგენილი გარე შეფასების და თვითშეფასების ინსტრუმენტებში.აქედან გამომდინარე,ნაკლებად არის შესაძლებელი,რომ ამ მიმართულებით მდგომარეობის ობიექტურად და სრულად შეფასება მოხდეს,როგორც პროგრამების,ასევე მთლინად უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დონეზე (განათლების პოლიტიკის, 2013, გვ. 10-12).

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის CRRC-საქართველოს მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით ვლინდება,რომ სამსახურის შოვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოს მოსახლეობისთვის არის ნაცნობობა,რომელიც დაასახელა რესპოდენტთა 32$-მა,შემდეგ განათლება,რომელიც

რესპოდენტთა 22$-მა დაასახელა,ხოლო შემდეგ პროფესიონალიზმი და სამუშაო გამოცდილება,რომელიც დაასახელა რესპოდენტთა 17%-მა. 2013 წლიდან 2017 წლამდე, მონაცემებში ნაცნობობა და განათლება პირველ ორ პოზიციას იკავებდა(კავკასიის ბარომეტრი 2017 საქართველო, 2017).

საქართველოში უმაღლესი განათლება დასაქმებისა და შემოსავლების მაჩვენებლების ზრდის ერთ-ერთი ძირითად განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. სხვა ფაქტორებთან ერთად მოცემული დასკვნის გამოტანა შესაძლებელია ქვემოთ აღნიშნული ფაქტებით:

- *„დაქირავებული შრომიდან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანის საშუალო შემოსავალი მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე პირის საშუალო შემოსავალზე თითქმის ორჯერ უფრო მაღალია.*
- *უმაღლესი განათლების მქონე პირისათვის მაგისტრატურის დამთავრება სახელფასო შემოსავლებში არ იწვევს მნიშვნელოვან მატებას, თუმცა მაგისტრის დიპლომის მქონე პირის დასაქმების შანსები 70%-ით მაღალია ბაკალავრის დიპლომის მქონე პირთან შედარებით.შესაბამისად, საქართველოში მაგისტრატურა არა შემოსავლის, არამედ დასაქმების ალბათობის გაზრდის საშუალებაა.*
- *საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით მუშაობს დაახლოებით 60% მუშაობს, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში საკუთარი სპეციალობით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ მეოთხედი მუშაობს .შესაბამისად, ხარჯების დაგეგმვისას ბაზარზე არსებული რეალური მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული"* (მაჩაბელი გ. , ანდღულაძე, ბრეგვაძე, & აფხაზავა, 2013, გვ. 33-34).

აღსაღნიშნავია,რომ ფინანსური კაპიტალის არარსებობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ სწორედ უმაღლესი განათლება აღიქმებოდეს როგორც ერთადერთ სიმდიდრედ, რომელიც ღარიბ ქვეყნებში ოჯახების უმრავლესობამ

შეიძლება შვილებს მისცეს.მასობრივი ეკონომიკური პრობლემებისა და სხვადასხვა სამუშაო ადგილების ნაკლებობის პირობებში, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ალბათობა იმისა,რომ ადამიანებმა მიიღონ პირდაპირი ფინანსური სარგებლი ძალიან დაბალია, მაგრამ მზაობა უმაღლესი განათლების მიღებისთვის ძალიან მაღალი. პარადოქსული მოვლენაა, რომ ინვესტირებული რესურსები არ უზრუნველყოფს შემოსავლების ეფექტს, თუმცა ინვესტირების მიმდინარეობის ტენდენცია მაინც იზრდება,ეს პროცესი ერთის მხრივ შესაძლოა აიხსნას უმაღლეს განათლებასა და მეორე მხრივ სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს შორის ურთიერთობებით.აღსაღნიშნავია,რომ ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობა (Durglishvili, 2017).

კურსდამთავრებულთათვის არსებული მცირე რაოდენობის სამუშაო ადგილების გამო, საქართველოში შრომის ბაზარს მცირე გავლენა აქვს განათლების ბაზარზე. უმაღლეს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის არსებობს კომუნიკაციის ნაკლებობა და საინფორმაციო ვაკუუმი. შრომის ბაზრის შემსწავლელ აქტორებს კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ უმაღლესი განათლების მიმართ და მიიჩნევენ,რომ საჭიროა ჩატარდეს ტრენინგები და გამოიყოს დამატებითი ფინანსური ხარჯები.გარდა ამისა, ისინი მიუთითებენ კურსდამთავრებულთა კომპეტენციის მიმართ შრომის ბაზრის არასაკმარის მოთხოვნებზე. არსებული ვითარებიდან გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს,იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი განათლება დაიწყებს ორიენტირებას შრომის ბაზარსა და მის მოთხოვნებზე (Durglishvili, 2017).

განათლების საფეხურსა და საქმიანობის სახეობას შორის გამოყოფენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შეუსაბამობას. ვერტიკალურ შეუსაბამობას მაშინ აქვს ადგილი, როცა დასაქმებულის განათლების დონე იმაზე უფრო მაღალი ან დაბალია, ვიდრე მისი სამუშაოს შესრულება მოითხოვს.ჰორიზონტალური შეუსაბამობა კი გულისხმობს,იმას, რომ ადამიანი დასაქმებულია, მაგრამ არა თავისი პროფესიით.

საქართველო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. (43% _ World Bank Microdata 2013; 27% _ 2014 წლის საქსტატის საყოველთაო აღწერა;34%_სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2016).საჯარო სექტორში დასაქმებისთვის განათლების მინიმალური, ბაკალავრის ხარისხის მოპოვებაა საჭირო. ძირითადად საჯარო სექტორში მუშაობას იწყებენ უმაღლესი განათლების მქონე პირები.კერძო სტრუქტურებშიც დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ უმაღლესდამთავრებულ კადრებს(ამაშუკელი, ლეჟავა, & გუგუშვილი, 2017, გვ. 36). ამის დასტურად შეგვიძლია ვისაუბროთ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შესახებ, რომელიც 2015 წელს ჩატარდა. კვლევაში იკვეთება, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ორგანიზაციებში სამუშაო ძალის მიერ დაკავებული პოზიციების განსაზღვრა და საკვალიფიკაციო დონის დადგენა. კვლევამ გვიჩვენა, რომ დასაქმებულთა შორის ყველაზე დიდი რაოდენობა არის უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები,რომელთაც გააჩნიათ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. დასაქმებულებს შორის მეორე ადგილზე საშუალო განათლების მქონე ადამიანები არიან,რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში არის ბევრი დაბალი საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნის მქონე სამუშაო ადგილები(სამინისტრო ს. შ., 2015, გვ. 9-10).

კვლევის შედეგად,ორგანიზაციებში დაკავებულ პოზიციებზე უმაღლესი განათლების მქონე ადმიანების რიცხვი - 451237-ს აღწევს, პროფესიული და საშუალო განათლების მქონე ადამიანების -133165 და 290109 ადამიანს. დასაქმებულები უმაღლესი განათლებით წარმოდგენილნი არიან მმართველი დირექტორის, ბუღალტერის პოზიციებზე.მაღალია პედაგოგებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების დასაქმების მაჩვენებლები.

საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სამუშაოს მაძიებლებისთვის უპირატესობის მინიჭება არ ნიშნავს დამსაქმებლების (როგორც კერძო,ასევე საჯარო) კადრების განათლების ხარისხის მიმართ უპირობო ნდობას. ეს დამოკიდებულება დაკავშირებულია იმასთან, რომ რაც უფრო მაღალია ადამიანის წიგნიერების დონე

მით უფრო მარტივია შემდგომში მისი განვითარება. არსებობს მოსაზრება, რომ დამსაქმებლისთვის უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატის მუშაობა მის კომპანიაში იმიტომ არის მნიშვნელოვანი,რომ ასეთ თანამშრომელს შეუძლია მარტივად, ნაკლებ დროში და ნაკლები გადამზადებით აითვისოს სამუშაო. აღნიშნული დაკავშირებულია თანამედროვე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის მიზნებთან,რომლის თანახმად კომპეტენციებზე დაფუძნებულმა სწავლებამ ისეთი უნარებით უნდა აღჭურვოს კურსდამთავრებული, რომ მან მარტივად შეძლოს დასაქმება (ამაშუკელი, ლეჟავა, & გუგუშვილი, 2017, გვ. 39).

ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის (ACT) მიერ 2016 წელს ჩატარებულ ახალგაზრდობის კვლევაში გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა ახალგაზრდების 52% საქართველოში განათლების ხარისხს საშუალოდ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.გარდა ამისა, მიუხედავად იმისა,რომ სხვებთან შედარებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები უფრო მეტად სტრესულად აღიქვამენ სასწავლო გარემოს, გამოიკვეთა,რომ ის ახალგაზრდები,რომლებიც მონდომებულად დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმეტესად სწორედ მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტები არიან (ომანაძე, და სხვ., 2017, გვ. 29-30).

კვლევის შედეგად ასევე გამოიკვეთა,რომ რესპონდენტთა უმეტესობა როგორც საზღვარგარეთ(31%) ასევე საქართველოში(40%) პრიორიტეტს სახელმწიფო სასაწავლო დაწესებულებას ანიჭებს.ამასთანავე აღმოჩნდა,რომ გამოკითხულთა ნახევარი(50%) სწორედ იმ პროგრამაზე სწავლობს,რომლზე მოხვედრაც ყველაზე მეტად სურდა და ათიდან დაახლოებით 7 ახალგაზრდისათვის პრიორიტეტულია იმ პროგრამის არჩევა,რომელშიც უფრო მეტი შანსი აქვს,რომ დასაქმდეს,მიუხედავად იმისა დააინტერესებს,თუ არა არჩეული პროფესია. ხოლო რაც შეეხება დასაქმებას,გამოვლინდა,რომ დასაქმებული ახალგაზრდების უმეტესობა(35%) არ მუშაობს საკუთარი პროფესიით.აღნიშნულ მონაცემებთან ერთად თვისებრივი

კვლევისას გამოიკვეთა,რომ ახალგაზრდებისათვის უმაღლესი განათლების მიღება არის მნიშვნელოვანი და მიუხედავად იმისა,რომ ისინი უმაღლესში სწავლის დონეს არ აძლევენ მაღალ მაჩვენებელს,ის მათთვის მაინც მნიშვნელოვანია რადგან დამსაქმებელი მაინც მოითხოვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ომანაძე, და სხვ., 2017, გვ. 33).

უნდა აღინიშნოს,რომ განათლება აფართოებს ადამიანის თვალსაწიერს ის ზრდის შრომის ნაყოფიერებას და შესაბამისად უფრო მაღალი ხელფასის მიღების შანსიც იზრდება.შედეგად საზოგადოებრივ პროდუქტში მისი წვლილი იზრდება.ის ადამიანი რომელსაც ძალიან სერიოზული განათლება აქვს,ახალი სამუშაოს მიღების პროცესში უფრო მეტაფ პერსპექტიულია და დაცულია უმუშევრობისგან (სართანია, თოქმაზიშვილი, & მარლაკელიძე, 2004, გვ. 46).

განათლების ზრდა იწვევს პოტენციური შემოსავლის ზრდას და რაც უფრო განათლებულია მშობელი,შემდეგი თაობებიც მით უფრო მეტ განათლებას ღებულობენ.შესაბამისად მშობლების განათლებაში ჩადებული ინვესტიცია შეიძლება ჩავთვალოთ უფრო მაღალი შემოსავლის მიღების საშუალებათ (2004, გვ. 49).

დიპლომი

დიპლომი უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ღირებულება და ადამიანის მიერ განვლილი განათლების საფეხურების დამადასტურებელი დოკუმენტია.ამასთან ერთად ის მნიშვნელოვანი კომპონენტია დამსაქმებლებისთვის,რადგან სწორედ დიპლომი არის ადამიანის გარკვეული უნარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი,რომელიც სამუშაოს დაწყების შესაძლებლობას იძლევა,შესაბამისად მისი მიღება შესაძლოა იყოს სხვადასხვა ადამიანის განათლების მიღების მოტივი.

გავრცელებულია ერთ-ერთი მოსაზრება,რომ უმაღლესი განათლების გავრცელებამ შესაძლოა დიპლომის გაუფასურება გამოიწვიოს,აღნიშნული გამომდინარეობს იმ პრინციპიდან,რომ თუ გარკვეული ნივთის ან პროდუქტის მიწოდება მასაზე

მოთხოვნას აღემატება,აღნიშნული საბაზრო ღირებულება შესაძლოა შემცირდეს,რითიც შესაძლოა ვივარაუდოთ,რომ ისეთ შემთხვევაში,თუ ინდივიდებს აქვთ უმაღლესი განათლების დიპლომი,უფრო ნაკლები ღირებულება შეიძლება ჰქონდეს დიპლომს დასაქმებასთან მიმართებაში.

ისეთ გარემოში სადაც ადამიანის უმეტესობას აქვს დიპლომი,მისი არქონა დამსაქმებლისთვის დაბალკვალიფიციურობის მანიშნებელია,ასეთ დროს კი დამსაქმებელთა უმეტესობა უმაღლეს განათლებას კანდიდატის ასაყვანად სავალდებულო მოთხოვნად ასახელებს (ჩახაია, 2018).

განათლების ეფექტის ანალიზის თეორიები

დასაქმებას/შემოსავლის დონესა და უმაღლეს განათლებას შორის კავშირის ანალიზს ტრადიციულად ძირითად ადამიანური კაპიტალის და სიგნალის ეფექტის თეორიულ ჩარჩოში განიხილავენ.ადამიანური კაპიტალის და სიგნალის ეფექტის თეორიები განათლების მიღებაზე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენას უარყოფენ.აღნიშნული თეორიების მიხედვით მხოლოდ მოტივაციაზე ან უნარებზე,რომ იყოს დამოკიდებული უმაღლესი განათლების მიღების შანსი და განათლების პროცესში,რომ ხდებოდეს ადამიანური კაპიტალის დაგროვება, სოციალური მობილობის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა უმაღლესი განათლება:აღნიშნულ შემთხვევაში ყველა ადამიანს აქვს უმაღლესი განათლების მიღების ერთნაირი შანსი,უმაღლესი განათლება კი ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებას განმაპირობებელია (მაჩაბელი გ. , ანდღულაძე, ბრეგვაძე, & აფხაზავა, 2013, გვ. 33-34).

ადამიანური კაპიტალის თეორია არის დასავლეთის განათლების ყველაზე გავლენიანი ეკონომიკური თეორია, რომელიც 1960-იანი წლებიდან მთავრობის

პოლიტიკის ჩარჩოებს ქმნის (Fitzsimons, 2017).თეორიის მიხედვით,განათლებამ უნდა შეძლოს მასში ჩადებული ინვესტიციის ამოღება (Becker G. S., 1967). ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტიციების ჩადება განათლებაში. აღნიშნული თეორიის მიხედვით კი „განათლებაში ჩადებულმა ინვესტიციამ უნდა მოიტანოს მოგება“,რადგან ადამიანური კაპიტალი გროვდება სწორედ უმაღლესი განათლების მიღების პროცესში (ცოდნა, სასარგებლო უნარ-ჩვევები,შესაძლებლობები,მოტივაციები),რაც დასაქმების პროცესში ადამიანს მისცემს უპირატესობას.განათლებამ უნდა გაზარდოს ადამიანის შრომისუნარიანობა და ამასთან ერთად მისი შემოსავალი.ეკონომიკაში მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე მოთხოვნის ზრდისა და მათი შრომის ფასის ამაღლებიდან გამომდინარე,მშობლების დიდი ნაწილი თვლის,რომ თავიანთი შვილების უმაღლეს განათლებაში ჩადებული ხარჯები ინვესტირების ეფექტურ ფორმას წარმოადგენს(სართანია, თოქმაზიშვილი, & მარლაკელიძე, 2004, გვ. 12).

ადამიანური კაპიტალის თეორიის მიხედვით, განათლება არის ის, რასაც ადამიანი მიღებისთანავე იყენებს.განათლება არის მომავლისთვის დაგროვილი კაპიტალი, რომელსაც მოაქვს მოგება.ადამიანებს დაბადებისთანავე აქვთ სხვადასხვა ბუნებრივი შესაძლებლობები.ეს შესაძლებლობები იზრდება სკოლის მოსწავლეებში, მაგრამ თუ ცოდნა არ არის მაღალი დონის, კაპიტალი გაყიდვის უნარს კარგავს ან საერთოდ უფასურდება. ამის მიხედვით შესაძლებელია ავხსნათ განსხვავება ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობას შორის, რომელიც განათლების პროცესში “კაპიტალდაბანდების” რაოდენობით და სახეობით აიხსნება (სამინისტრო, 2014, p. 3).

ადამიანური კაპიტალის’’ თეორიის მიხედვით,წარსულში დახარჯული საკუთარი ენერგია მომავალში ანაზღაურდება.საქართველოში სოციალური და ეკონომიკური პროგრესისთვის ადამიანური კაპიტალი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.შესაბამისად.*,,განათლება ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული და გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროა’’*(სამინისტრო, 2014, p. 3).

აღსაღნიშნავია,რომ განათლების სტანდარტიზება კაპიტალისტური და ნეო-ლიბერალური იდეოლოგიის პირობებში ''ადამიანური კაპიტალის'' განვითარების სახელით ხდება.მოცემულ პირობებში განათლება არ წარმოადგენს ისეთ უწყვეტ პროცესს,რომელიც არსებული სიტუაციის გაუმჯობესებასა და უკეთესი ცხოვრების შექმნისკენ იქნება მიმართული,არამედ განათლება იქცა თვითმიზნად ბაკალავრისა და შემდეგ მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.რომლის გარგლებშიც, კარგ შემთხვევაში სადოქტორო თემაზე აგრძელებ მუშაობას,ხოლო უფრო ცუდ შემთხვევაში იწყებ ან ვერ იწყებ მუშაობას.ორივე შემთხვევაში გარკვეული პიროვნება რჩება კაპიტალისტური ბაზრის ერთეულად,რომელსაც არეგულირებს ბაზრის ლოგიკა.აღნიშულ სიტუაციაში,სწორედ მასზეა მიბმული სწავლის ათვისების პროცესი.კერძოდ, მთავარია სწავლის გადასახადის გადახდა,ლექციებზე დასწრება, ბარიერის გადალახვა,ცოდნა,განათლება და დიპლომი,სამუშაო ბაზარზე პრივილეგია კი თავისით მოდის (ქებურია & ლოცაბერიძე, 2015).

ადამიანური კაპიტალის თეორია ეყრდნობა შემდეგ პრინციპს: ადამიანებში განათლების მიღებით ხდება სოციალური ცვლილებები,მათი ძალისხმევის შედეგად კი ეკონომიკური და სოციალური აღმავლობის განმაპირობებელი პროცესების გაძლიერება ხდება.აღნიშნული თეორია ასევე აღნიშნავს,რომ განათლება თანამედროვე საზოგადოების ისეთ ინსტიტუტს წარმოადგენს,რომელსაც შეუძლია გახდეს ძალიან ბევრი სოციალური პრობლემის მოგვარების საშუალება.

აღნიშნული თეორის მიხედვით განათლების შეძენაში და ზოგადად ადამიანისეული კაპიტალის გაზრდაში ადამიანის მთავარი მოტივაცია შემოსავლებით მიღებული სარგებელია,რომლის გამოვლენის ფორმასაც შრომის ანაზღაურება წარმოადგენს,რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს შრომითი ურთიერთობების რეგულირების პროცესში.განათლება წარმოადგენს ინვესტირების ობიექტს,რომელიც ‘’უკუგების პერსპექტივას’’ მოიტანს,შესაბამისად გარკვეულ საზოგადოებასა და ინდივიდებს საგანმანათლებლო ხარჯების გასაწევათ გააჩნიათ ეკონომიკური სტიმული.აღნიშნულიდან გამომდინარე კი რამდენადაც მოსახლეობის ხარჯების

ზრდა იწვევს ადამიანური კაპიტალის ეკონომიკაში ზრდას,იმდენად იზრდება შემოსავლები და შრომის ნაყოფიერება ეკონომიკაში (სართანია, თოქმაზიშვილი, & მარლაკელიძე, 2004, გვ. 19-20).

სიგნალის ეფექტის თეორიის მიხედვით, ადამიანისთვის განათლების მიღების მთავარი მოტივი არის ის რომ წარმოაჩინოს თავისი უნარები და შესაძლებლობები. უფრო კონკრეტულად კი დამსაქმებლისთვის და ისეთი პირისთვის,რომელიც განათლებაში არის ჩართული,განათლების შედეგად ახალი კომპეტენციების შეძენაზე უფრო მაღალ ღირებოლებას დიპლომის მიღება წარმოადგენს.განათლების სხვადასხვა საფეხურის დასრულება დამსაქმებლისთვის ადამიანის უნარების მაჩვენებლებს წარმოადგენს და მისთვის დასაქმებიდან უფრო მაღალი შემოსავლების პირობაა.აღსაღნიშნავია,რომ უფრო მაღალპროდუქტიული ადამიანები განათლების უფრო მაღალ საფეხურებს ირჩევენ დაბალი პროდუქტიულობის მქონე ადამიანებთან შედარებით და სწორედ ეს აისახება მათ ხელფასებზე (გ.მაჩაბელი, 2013).

სიგნალის ეფექტის თეორიის მიხედვით უმაღლესი განათლება თავისთავად ადამიანს არ აძლევს საჭირო უნარ-ჩვევებს.უმაღლეს განათლებას ისეთი ადამიანები ირჩევენ, რომლებთაც უკვე აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და ძალიან მოტივირებლნი არიან; შესაბამისად,დამსაქმებლისთვის უმაღლესი განათლების ქონა არის სიგნალი მხოლოდ იმისათვის, რომ ადვილად გამოიცნონ ასეთი ადამიანები (გიორგი, ანდღულაძე, ბრეგვაძე, & აფხაზავა, 2013, გვ. 5).

პიერ ბურდიე

როგორც აღინიშნა, უმაღლესი განათლების მიღება სოციალური და კულტურული კაპიტალის აგრეგაციის/დაგროვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.ის გარკვეულწილად იძლევა როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური კეთილდღეობის გარანტიას.შესაბამისად, უნდა აღინიშნოს ბურდიესეული ეკონოემიკური,სოციალური

და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობა (Bourdieu & Passeron, 1990) და მათი გავლენა ახალაგაზრდების მიერ უმაღლესი განათლების მიღების მოტივის განსაზღვრაში.

ფრანგი სოციოლოგი პიერ ბურდიე კაპიტალის თეორიაზე საუბრისას,აღნიშნავს,რომ კაპიტალი შეიძლება იყოს როგორც თანდაყოლილი ასევე შეძენილი,კაპიტალის ცნებით ბურდიე აღნიშნავს სიმბოლურ და მატერიალურ რესურსებს,რომელთა განსხვავებული დაგროვება განსაზღვრავს ადამიანის ადგილმდებაროებას სოციალურ სივრცეში.იგი გამოყოფდა კაპიტალის რამდენიმე ფორმას,რომელსაც სტრუქტურების მიხედვით და კაპიტალის მოცულობით სოციალურ სივრცეში აგენტთა პოზიციის განსასაზღვრად იყენებდა.ბურდიე მივიდა დასკვნამდე,რომ ველში,რაშიც იგი ოპოზიციებით სტრუქტურირებულ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ სივრცეს მოიზარდებდა,სადაც ადგილი აქვს სრულიად მრავალფეროვან ბრძოლას, ადამიანები ცდილობენ დაიკავონ მათთვის სასურველი მოცემული კაპიტალები:

- ეკონომიკური კაპიტალი - მატერიალური მდგომარეობა, დოვლათის ქონა.
- კულტურული კაპიტალი - ეს არის ადამიანის ის კულტურული დონე,რომლის გამოყენებაც არ შეუძლია ისეთი ჯგუფების გარეშე როგორიცაა ოჯახი, კლუბი, ეკლესია და ა.შ. ეს ჯგუფები საზოგადოებაში ფლობენ ძალაუფლებას. ის გულისხმობს საზოგადოებაში აღიარებულ ცოდნის სხვადასხვა სახეებს (განათლება,შესაბამისი დიპლოიმი და ა.შ)
- სოციალური კაპიტალი - სოციალურ კავშირების ქსელი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჯგუფის წევრობასთან და შედგება ადამიანისათვის ღირებული ურთიერთობებისგან (მეგობრები,ოჯახი,ეკლესია,სპორტული ან კულტურული კლუბები და ა.შ)
- სიმბოლური კაპიტალი - არის სოციალური კაპიტალის ნაირსახეობა,რომელიც გარკვეული ავტორიტეტის,რეპუტაციის ფლობასთანაა დაკავშირებული.ეს არის თანასწორთა ჯგუფის და პუბლიკის მიერ თქვენი

დამსახურების აღიარების კაპიტალი,რომელსაც მათი მხრიდან აღიარების შემთხვევაშ ვიღებთ.

კაპიტალთა განაწილება ვლინდება აგენტებს შორის სოციალლურ სივრცეში გავლენის და ძალაუფლების განაწილებით.გარდა ამისა,აგენტების პოზიცია სოციალური სივრცეში განისაზღვრება თავისი კაპიტალის მოცულობითა და სტრუქტურით.ყველა აღნიშნულ კაპიტალს აერთიანებს ერთი მახასიათებელი,რომ მათი ასპარეზი ის ველია,რომელშიც არის დიდი რაოდენობით ინსტიტუციონალიზებული კულტურული კაპიტალის მქონე ინდივიდების მიერ შექმნილი სოციალური სამყარო.სოციალური სივრცე არის განსხვავებული,მაგრამ სისტემატიურად ურთიერთდაკავშირებული თვისებების მქონე აგენტთა თავმყოყრის ადგილია.ეს სივრცე არის სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანების, სოციალური ჯგუფების სივრცე, რომელშიც თითოეულს მისი ადგილი აქვს.

კულტურული და ეკონომიკური კაპიტალი არის ძალაუფლების წყარო იმ ადამიანისთვის რომელსაც ის პერსონალურად ფლობს.ეს მათ აძლევს ძალაუფლებას იმ ადამიანებზე, ვინც არ ფლობს საერთოდ ან ნაკლებად ფლობს ამ კაპიტალს.გარდა იმისა,რომ კაპიტალის აღნიშნული სახეები არის მოგება ან ფსონი,ასევე არის აუცილებელი პირობა თამაშში ჩართვისთვის (Шматко, 1998, p. 72).ფინანსური კაპიტალის არსებობის თვალსაზრისით შესაძლებელია, რომ უმაღლესი განათლება აღიქმებოდეს ერთადერთ სიმდიდრედ, რომელსაც ღარიბ ქვეყნებში ოჯახის უმეტესობამ შეიძლება მისცეს შვილებს (Dobbins & Khachatryan, 2015).

აღსაღნიშნავია,რომ კულტურული კაპიტალი, აღზრდისა და განათლების პროცესის შედეგად გროვდება და მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ სტატუსთან. კულტურულ კაპიტალში კულტურული იერარქია არის სოციალური იერარქიის ამსახველი.მაგალითად,დიდი ხანია საუნივერსიტეტო ხარისხი კულტურული კაპიტალის ინსტიტუციონალიებულ ფორმას წარმოადგენს.დამტკიცებულია,რომ ის რაც კულტურულ კაპიტალს როგორც კაპიტალს განსაზღვრავს,არის მისი ეკონომიკურ კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა'' (Garnham & Williams, 1986). გარდა ამისა,

აღსაღნიშნავია,რომ კულტურული სახის საქონლის მიღება შეგვიძლია, როგორც ეკონომიკური კაპიტალის ფლობით,ისე კულტურული კაპიტალის ფლობით.

ბურდიეს მიხედვით კულტურული კაპიტალის არსებობა შესაძლებელია სამი ფორმით:

"1.ინკორპორირებული სახით - გონებისა და სხეულის გრძელვადიანი დისპოზიციების ფორმით,ინკორპორირების პროცესი გულისხმობს ათვისებისთვის საჭირო ძალადატანებასა და ასიმილაციას, ამიტომაც ის საჭიროებს დროის დანახარჯებს - უშუალოდ ინვესტორის მხრიდან. მსგავსი თვისებების მოსაპოვებლად გარჯა გულისხმობს საკუთარ თავზე მუშაობას და ის ვარაუდობს ძალისხმევას აქტორის მხრიდან.ეს არის კაპიტალდაბანდება დროის და ასევე სოციალურად აგებული ლტოლვათა ფორმების.კულტურული კაპიტალი შეიძლება მოვიპოვოთ განსხვავებული რაოდენობით. ამას განაპირობებს საზოგადოება, დრო, სოციალური კლასი.

2.ობიექტივირებული სახით - კულტურული საქონლის ფორმით, რომელიც თეორიათა რეალიზაციის ანაბეჭდს ან ამ თეორიათა კრიტიკას წარმოადგენს (ესენია, კულტურული ღირებულებები: ნახატები, წიგნები,ინსტრუმენტები, ტექნიკა და ა.შ.)

3.ინსტიტუციონალიზებული სახით - ობიექტივაციის ფორმით (როგორც ეს განათლების კვალიფიკაციებში გამოჩნდა, ის კულტურულ კაპიტალს ანიჭებს ისეთ ორიგინალურ თვისებებს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ უნდა შენარჩუნდეს). კულტურული კაპიტალის აკადემიური კვალიფიკაციების ფორმით ობიექტივაცია იმის საფუძველია, რაც განასხვავებს კულტურული კაპიტალს თვითნასწავლის კაპიტალისგან. იგი სანქცირებულია იურიდიულად გარანტირებული კვალიფიკაციების დახმარებითა და აკადემიური სახსრებით,რომლებიც, მისი მფლობელისგან ფორმალურად დამოუკიდებელია" (Becker G. S., 1964).

ხაზგასასმელია,რომ კაპიტალის რეალური მოქმედება, როგორც დაგროვილი შრომის შედეგად მიღებული პროდუქტის მითვისების ობიექტური მდგომარეობა, რომლის მატარებელიც არის მოცემული აგენტი, დამოკიდებულია აკუმულირებული და

ობიექტურად არსებული რესურსების გადანაწილებისა და მისაკუთრების საშუალებებზე.

რაც შეეხება სოციალური კაპიტალს,ის ბურდიეს მიხედვით არის იმ პოტენციური და არსებული რესურსების აგრეგაცია, რომლებიც უკავშირდება აღიარებისა და ურთიერთგაგების მეტ-ნაკლებად ინსტიტუციონიზებული ურთიერთობების მდგრადი ქსელის ფლობას (Bourdieu, 1986).სოციალური კაპიტალის ფორმა მომდინარეობს არა იმისგან,თუ რა იცი,არამედ,იმისგან თუ ვის იცნობ შენ. მეგობრებთან,ახლობლებთან ან უბრალოდ ნაცნობებთან კავშირები სოციალური სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა.სოციალური კაპიტალის ცნება რეპუტაციის ძალის ფენომენისასაც პროდუქიულია,მაგალითად,თუ როგორ ხდები ცნობილი უცნობი ადამიანებისათვის.

აგენტის მიერ სოციალური კაპიტალის ფლობის მოცულობა დამოკიდებულია იმ სოციალური კავშირების ზომაზე,რომლის მობილიზებაც მას შეუძლია და ასევე იმ კაპიტალის მოცულობაზე (კულტურული,სიმბოლური,ეკონომიკური) რომელიც გააჩნია თითოეულ ადამიანს, რომელიც მასთან არის დაკავშირებული.ბურდიეს მიხედვით კავშირთა ქსელები საჭიროა სასარგებლო და ხანგრძლივი ურთიერთობების აგებისა და რეპროდუქციისთვის.ეს ურთიერთობები გვაძლევს სიმბოლური და მატერიალური მოგების მიღების საშუალებას.კერძოდ,კავშირთა ქსელები წარმოადგენს ინვესტიციების სტრატეგიებს, რომლებიც სპონტანურად,გაცნობიერებულად,ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად მიმართულნი არიან სოციალური ურთიერთობების დამყარებასა და წარმოებაზე. ერთ-ერთი ასეთი ადგილი არის უმაღლესი სასწავლო დაწესებულება,სადაც ვხვდებით სხვადასხვა სტუდენტთა კავშირთა ქსელებს,რომელიც შედგება მრავალი ურთიერთობისაგან.უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტებს აქვთ საშუალება შეიძინონ ახალი მეგობრები და დაამყარონ სასარგებლო და ხანგრძლივი ურთიერთობები,რაც როგორც ბურდიე აღნიშნავს,როგორც მატერიალური ასევე სიმბოლური მოგების მიღების საშუალებას იძლევა.აქედან გამომდინარე,

შესაძლოა,რომ სტუდენტთა განათლების მიღების ერთ-ერთი მოტივს სწორედ სოციალური კაპიტალის დაგროვება წარმოადგენდეს.გარდა ამისა, აღსაღნიშნავია,რომ უმაღლესი განათლება და შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაციის მიღება ადამიანს ეხმარება ეკონომიკური კაპიტალის კონვენტირების გზით კულტურული კაპიტალის დაგროვებაში.აკადემიური კვალიფიკაცია კი მატერიალური და სიმბოლური მოგების/სარგებლის გარანტიას იძლევა (Bourdieu, 1986), აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ,რომ ახალგაზრდის უმაღლესი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი შესაძლოა იყოს კაპიტალის დაგროვება.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც,რომ ყველა აგენტს არ აქვს კულტურული და ეკონომიკური საშუალება იმისათვის,რომ მინიმალური საჭიროების მიღმა, გაუგრძელოს შვილებს განათლება, რომელიც არის საჭირო შრომისთვის და ითვლება სტაბილურად მოცემულ მომენტში ან უბრალოდ უზრუნველყოს სწავლა შვილისთვის სასურველ უმაღლეს სასაწავლებელში,ამიტომ დაბალი კულტურული და ეკონომიკური საშუალების მქონე ახალგაზრდის უმაღლესში მოხვედრის შემთხვევაში,მისი უმაღლესი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაცია შესაძლოა იყოს სწორედ ეკონომიკური კაპიტალის დაგროვება.

კვლევის შედეგები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა პირისპირი ინტერვიუ,გამოიკითხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 310 სტუდენტი,მათგან 67,7% იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, ხოლო 32,3% კავკასიის უნივერსიტეტის. რესპონდენტთა 67,4% იყო ქალი, ხოლო 32,6% კაცი. გამოკითხულთა უმეტესობა(34,2%) მესამე კურსის სტუდენტები იყვნენ,ხოლო ყველაზე მცირე პირველი კურსის სტუდენტები (13,5%).

რესპოდენტთა უმეტესობის(21.1%) ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1201-1600ლარამდე მერყეობს.ხოლო უნივერსიტეტის დონეზე გამოვლინდა,რომ კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1201-1600ლარამდე,ხოლო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის 401-800ლარამდე მერყეობს.

რესპონდენტთა უმეტესობას(54,8%) უნივერსიტეტის არჩევაში გადაწყვეტილება თავად აქვს მიღებული. 17,5%-ს არჩევაში ოჯახის წევრები დაეხმარნენ,რესპონდენტთა 13.5%-ს უნივერსიტეტის არჩევაში დაეხმარნენ მეგობრები,ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობას (2.6%) უნივერსიტეტის არჩევაში დაეხმარა პედაგოგი.



გამოკითხულთა უმეტესობას(63,2%) სახელმწიფო გრანტი მოპოვებული არ აქვს. ხოლო 36,8%-ს მოპოვებული აქვს.მონაცემებიდან გამოიკვეთა,რომ გამოკითხულთა 63.2%-ის სწავლის საფასური არის 2250≥ ხოლო 36,8% სწავლის საფასური არის 2250 ლარზე ნაკლები.

კვლევის შედეგებიდან გამოვლინდა,რომ რესპონდენტთა უმეტესობისათვის(70.65%) განათლების მიღება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.უნივერსიტეტის დონეზე,გამოვლინდა,რომ მნიშვნელოვნების მიხედვით არ განსხვავდება მაჩვენებელი კავკასიისა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის,ორივე უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობისათვის უმაღლესი განათლების მიღება წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან მოვლენას.



კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობამ უმაღლესში ჩაბარების ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორად გარკვეულ სპეციალობაში ცოდნის მიღება დაასახელა.მეორე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა,რომ განათლება გეხმარება გაერკვე საკუთარ

მისწრაფებებში და ინტერესებში. მესამე მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა, რომ სფერო რომელშიც ვსწავლობ მოითხოვს დიპლომს. მეოთხე ფაქტორად დასახელდა,რომ უმაღლესი განათლება აუცილებელია პიროვნული განვითარებისთვის,შემდეგ ფაქტორად დასახელდა,რომ დასაქმებისთვის უმაღლესი განათლება აუცილებელია.გამოიკვეთა,რომ სტუდენტთა უმეტესობისთვის უმაღლესში ჩაბარებაზე ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორი არის:''უმაღლესი განათლება მშობლების/ნათესავების/საზოგადოების დაკვეთაა''. აღნიშნული პასუხების შეფასება მოხდა 5 ბალიან შკალაზე სადაც, 1 ნიშნავდა''ყველაზე ნაკლებად მოახდინა გავლენა'' ხოლო 5 ნიშნავდა ''ყველაზე მეტად მოახდინა გავლენა'. მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს,რომ ყველაზე პრიორიტეტული ფაქტორი,ცოდნის მიღება შეესაბამება თეორიაში გამოყენებულ შინაგანი მოტივაციის ტიპს,კერძოდ, ყველაზე მეტი სტუდენტის მიერ დასახელებულ სპეციალობაში ცოდნის მიღების ფაქტორი არის შინაგანი მოტივი,რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის ინტერესები და მოთხოვნილბები.ხოლო სტუდენტების მიერ დასახელებული ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული ფაქტორი უმაღლესი განათლება, როგორც მშობლების/ნათესავების და საზოგადოების დაკვეთა, შეესაბამება გარეგანი მოტივაციის ტიპს,როდესაც ქცევა ვიღაცისთვის ხორციელდება (კარგი შეფასების მიღებისთვის,მშობლის სიამოვნებისთვის,დასჯის თავიდან აცილებისათვის და ა.შ). მოცემული მონაცემებიდან გამოკვეთილი შინაგანი მოტივაციის ფაქტორი-სპეციალობაში ცოდნის მიღების სურვილი არის ჰუმანისტური მიდგომის ტიპი,რაც გულისხმობს,რომ ასეთ დროს ხდება სტუდენტის შინაგანი რესურსების–თვითშეფასების,კომპეტენტურობისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზება. (ელბაქიძე, და სხვ., 2016, გვ. 115).

კვლევის ფარგლებში უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქციის შეფასება მოხდა 5 ბალიან შკალაზე სადაც 1 ნიშნავდა ''საერთოდ არ არის პრიორიტეტული'' და 5 ნიშნავდა ''ყველაზე პრიორიტეტული''.მონაცემებიდან გამოვლინდა,რომ კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობამ

უმაღლესი განათლების მთავარ ფუნქციად სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება დაასახელა,მეორე მნიშვნელოვან ფუნქციად სტუდენტთა დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება გამოვლინდა,ხოლო შემდეგ ფუნქციად სტუდენტთა დასაქმება.სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფუნქცია კი დემოკრატიული ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება აღმოჩნდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა,რომ სტუდენტთა უმეტესობას სურდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება,ამასთანავე გამოვლინდა,რომ სტუდენტთა უმეტესობამ უნივერსიტეტის პრესტიჟულობის გამო ჩააბარა არჩეულ უნივერსიტეტში.



კვლევის შედეგად გამოვლინდა,რომ რესპონდენტთა უმეტესობა(46.5%) კმაყოფილია უნივერსიტეტის არჩევით,თუმცა თუ განვიხილავთ აღნიშნულს უნივერსიტეტების დონეზე,ვლინდება,რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობა

კმაყოფილია,ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობა ძალიან კმაყოფილია უნივერსიტეტის არჩევანით. რაც შეეხება სწავლების ხარისხს,გამოვლინდა,რომ რესპოდენტთა უმეტესობა(42.3%) კმაყოფილია თავისი უნივერსიტეტის სწავლის ხარისხით.უნივერსიტეტების დონეზე კი ვლინდება,რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობა კმაყოფილია სწავლების ხარისხით,ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობა ძალიან კმაყოფილია სწავლების ხარისხით.





კითხვაზე, რამდენად ამართლებს უნივერსიტეტში სწავლის პროცესი თქვენს მოლოდინებს, სტუდენტთა უმეტესობამ ნეიტრალური პასუხი დაასახელა,ხოლო უნივერსიტეტებს შორის გამოვლინდა განსხვავება,კერძოდ, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობისთვის უნივერსიტეტში სწავლის პროცესი სრულიად ამართლებს მათ მოლოდინებს,ხოლო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღნიშნულთან დაკავშირებით ნეიტრალური პასუხი დააფიქსირეს.აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას,რომ ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტების უმაღლესი განათლების მთავარი მოტივი „ცოდნის გაღრმავება“ უნივერსიტეტმა სრულებით ვერ გაამართლა.კერძოდ, სტუდენტები ვერ იღებენ იმ ცოდნას, რომლის მიღების მოლოდინიც მათ ჰქონდათ.



კვლევის ფარგლებში განათლების მიღების მოტივების შეფასება მოხდა 5 ბალიან შკალაზე, სადაც 1 იყო მინიმალური ხოლო 5 მაქსიმალური შეფასება.

ანალიზის შედეგად, უმაღლესი განათლების მიღების მოტივები 5 ზოგად ფაქტორზე გადანაწილდა:

1. "ცოდნის მიღება" - აერთიანებს მხოლოდ ერთ ცვლადს: "ცოდნის გაღრმავების შანსი".
2. "პიროვნული განვითარების ფაქტორი" - აერთიანებს ერთ ცვლადს: ‘’პიროვნული ზრდის შესაძლებლობა".

3. "სარგებლის ფაქტორი" - ცვალებადები: "დასაქმების შესაძლებლობები", მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა", ‘’კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობა’’და "უმაღლესი განათლება, როგორც პროფესიული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა’’
4. "სოციალური გავლენის ფაქტორი" - აერთიანებს ცვლადებს: "ოჯახში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა’’, "მეგობრებში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა’’,’’მშობლების მხრიდან დასჯის/გაკიცხვის შიში’’,’’უმაღლესი განათლების დიპლომის მიღების შესაძლებლობა’ და ‘’ სტუდენტობის გამოცდილების შეძენის შესაზლებლობა’’
5. "სოციალური კაპიტალის ფაქტორი" - ცვლადი: "ახალი კავშირების დამყარების შანსი"

5 ბალიან შკალაზე განათლების მიღების სურვილის სხვადასხვა განმაპირობებელი ფაქტორის შეფასებისას გამოიკვეთა,რომ კავკასიისა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობამ მაღალი ქულებით აღნიშნეს დასაქმების სურვილი,პიროვნული ზრდის,პროფესიული გამოცდილების მიღებისა და დიპლომის მიღების სურვილი.ყველაზე მეტი მაქსიმალური ქულით კი აღნიშნეს ცოდნის გაღრმავება,როგორც განათლების მიღების სურვილის განმაპირობებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი.ხოლო სტუდენტთა უმეტესობამ, განათლების მიღების სურვილის ნაკლებად განმაპირობებელ ფაქტორებად დაასახელა სტუდენტური ცხოვრების გამოცდილების მიღების სურვილი,კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობა და ოჯახში უნივერსიტეტის სწავლის პრესტიჟულობა,განათლების მიღების სურვილის ყველაზე ნაკლებად განმაპირობებელ ფაქტორად კი სოციალური გავლენის ფაქტორი დასახელდა, კერძოდ მშობლების მხრიდან დასჯის/გაკიცხვის სურვილი.

განათლების მიღების ყველაზე მთავარ მოტივად კი სტუდენტთა უფრო მეტმა რაოდენობამ ცოდნის მიღება დაასახელა,ხოლო სტუდენტთა ყველაზე ნაკლებმა

რაოდენობამ ახალი კავშირების შეძენის სურვილი.უნივერსიტეტების დონეზე კი გამოვლინდა,რომ ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის განათლების მიღების მოტივი არის ცოდნის გაღრმავება,რომელიც მიესადაგება შინაგანი მოტივაციის ტიპს,ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის განათლების მიღების მოტივი არის დასაქმება,რომელიც მიესადაგება გარეგანი მოტივაციის ტიპს.



როგორც ზემოთ აღინიშნა,ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობამ უმაღლესში ჩაბარების ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორად და განათლების მიღების ძირითად მოტივად ცოდნის მიღება დაასახელა,რომელიც ეპისტემიკურ მოტივს წარმოადგენს და გულისხმობს, რომ

სტუდენტებისთვის ცოდნა არის სიამოვნების მიმნიჭებელი ფაქტორი და მათი მიზანი არის განვითარება. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობამაც უმაღლესში ჩაბარების ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორად ეპისტემიკური მოტივი,კერძოდ, ცოდნის მიღება დაასახელა,თუმცა განათლების მიღების ძირითად მოტივად დაასახელა დასაქმებაა,რომელიც შეესაბამება გარეგანი მოტივაციის სახეს ეკონომიკურ მოტივს,რომელიც გულისხმობს, რომ კავკადიის უნივერსიტეტის სტუდენტების უმეტესობის სწავლა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მატერიალურ სარგებელთან.

ჯავახიშვილისა და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობამ აღნიშნა,რომ ახლა რომ აბიტურიენტი იყოს მაინც ჩააბარებდა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში,ჩააბარებდა იმავე ფაკულტეტზე და სურვილი აქვთ,რომ მხოლოდ მაგისტრატურაზე გააგრძელონ სწავლა. გარდა ამისა, სტუდენტთა უმეტესობას მიაჩნია,რომ მათ მიერ მიღებული უმაღლესი განათლება დაეხმარება კარიერული მიზნის მიღწევაში და სურვილი აქვთ,რომ დასაქმდნენ იმავე პროფესიით რა პროფესიაზეც სწავლობს.

რაც შეეხება საქართველოში უმაღლესი განათლების დონეს, რესპონდენტთა უმეტესობა(42.3%) მას ნეიტრალურად აფასებს.აღსაღნიშნავია,რომ რესპონდენტთა უმეტესობა არ არის დასაქმებული,თუმცა ვინც დასაქმებულია მათი უმეტესობა არ მუშაობს საკუთარი პროფესიით.აღნიშნული შედეგი დაემთხვა ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფის (ACT) მიერ 2016 წელს ჩატარებულ ახალგაზრდობის კვლევის შედეგს,რომელშიც გამოვლინდა,რომ გამოკითხულთა ახალგაზრდების უმეტესობა(52%) საქართველოში განათლების ხარისხს საშუალოდ დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს.ხოლო რაც შეეხება დასაქმებას,აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე ასევე გამოვლინდა,რომ დასაქმებული ახალგაზრდების უმეტესობა(35%) არ მუშაობს საკუთარი პროფესიით(ომანაძე, და სხვ., 2017, გვ. 33).

კვლევის ფარგლებში კარგი სამსახურის დასაწყებად მნიშვნელოვან ფაქტორებად რესპონდენტთა დიდმა რაოდენობამ დაასახელა მიღებული განათლება,გამართლება,სამუშაო გამოცდილება,პროფესიონალიზმი,ხოლო ყველაზე მნიშნელოვან ფაქტორად რესპონდენტთა უმეტესობამ ნაცნობობა დაასახელა. უმცირესობამ კი სამსახურის დასაწყებად ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორად დაასახელა ასაკი.მიღებული კვლევის მონაცემი თანხვედრაში მოდის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის CRRC-საქართველოს მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევასთან, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობისთვის სამსახურის შოვნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ნაცნობობა,რომელიც დაასახელა რესპოდენტთა 32%-მა.აღსაღნიშნავია,რომ კვლევის შედეგების მიხედვით 2013 წლიდან 2017 წლამდე, მონაცემებში ნაცნობობა და განათლება პირველ ორ პოზიციას იკავებს და უცვლელია(კავკასიის ბარომეტრი 2017 საქართველო, 2017).

სიგნალის ეფექტის თეორია და დიპლომი

კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტთა გარკვეულმა რაოდენობამ(58.4%) უმაღლესში ჩაბარების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ფაქტორად დაასახელა, რომ სფერო რომელშიც სწავლობენ მოითხოვს დიპლომს.აღნიშნულთან მიმართებით მნიშნელოვანია სიგნალის ეფექტის თეორია,რადგან სტუდენტებისათვის დიპლომის მიღება მნიშვნელოვანია,უმაღლესი განათლება სტუდენტს გარკვეულ უნარ-ჩვევებს უნვითარებს,ხოლო დიპლომი განათლების საფეხურის დასრულების შემდეგ სწორედ მათი უნარების მაჩვენებელს წარმოადგენს და ეს მისთვის დასაქმებიდან უფრო მაღალი შემოსავლის მიღების პირობაა. (უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, 2013, გვ. 5).

უმაღლესი განათლების როლი დასაქმებაში

როგორც აღინიშნა, საქართველო უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.საჯარო სექტორში დასაქმებისთვის განათლების მინიმალური, ბაკალავრის ხარისხის მოპოვებაა საჭირო. ძირითადად საჯარო სექტორში მუშაობას იწყებენ უმაღლესი განათლების მქონე პირები.კერძო სტრუქტურებშიც დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ უმაღლესდამთავრებულ კადრებს(ამაშუკელი, ლეჟავა, & გუგუშვილი, 2017, გვ. 36).შესაძლოა აღნიშნული იყოს იმის მიზეზი,რომ რესპონდენტების უმეტესობას უმაღლესი განათლება დასაქმების მნიშვნელოვან წინაპირობად მიაჩნია და როგორც რესპოდენტთა უმეტესობა(47.7%) მიიჩნევს,სწორედ მათ მიერ მიღებული უმაღლესი განათლება დაეხმარებათ კარიერული მიზნის მიღწევაში.მიუხედავად იმისა,რომ რესპოდენტთა უმრავლესობისთვის განათლება დასაქმების ეფექტური წინაპირობაა,ისინი მიიჩნეევენ,რომ დასაქმებისთვის და კარგი სამსახურისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ნაცნობობა წარმოადგენს.

კერძო და საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების მიღების მოტივები და პიერ ბურდიეს კაპიტალის თეორია

კვლევის მონაცემებიდან ვლინდება,რომ სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების მოტივებზე გავლენას ახდენს ბურდიეს კაპიტალის თეორია,კერძოდ, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კაპიტალები,რომლის დაგროვების მნიშვნელოვან საშუალებას სწორედ უმაღლესი განათლების მიღება წარმოადგენს.

მიღებული კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე,გამოვლინდა ივანე ჯავახიშვილის და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების უმაღლესი განათლების

მიღების შემდეგი მოტივები:ცოდნის გაღრმავება,პიროვნული ზრდის სურვილი,დასაქმების სურვილი,მაღალი შემოსავლის მიღების სურვილი,კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობა,პროფესიული გამოცდილების მიღების სურვილი და დიპლომის მიღების სურვილი.მოცემული ფაქტორები ესადაგება ბურდიეს ეკონომიკურ,კულტურულ და სოციალურ კაპიტალებს.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა,რომ უმაღლესი განათლების მიღების მთავარ მოტივზე ყველაზე მეტად გავლენას ახდენს კულტურული კაპიტალი,რომელშიც მოიაზრება ცოდნის გაღრმავება,ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ეკონომიკური კაპიტალი,რომელშიც მოიაზრება დასაქმება და მაღალი შემოსავლის მიღება.კვლევის ფარგლებში სტუდენტთა უმრავლესობის აზრით ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა სოციალური კაპიტალი,კერძოდ გამოვლინდა,რომ განათლების მიღების მოტივზე ნაკლებ გავლენას ახდენს მშობლები,ნათესავები,საზოგადოება და ახალი კავშირების შეძენის სურვილი.

უნივერსიტეტების დონეზე გამოიკვეთა,რომ კულტურული და ეკონომიკური კაპიტალის გავლენა სხვადასხვაგვარია.კერძოდ კი ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში უმეტესად კულტურული კაპიტალი განაპირობებს უმაღლესი განათლების მიღების მოტივს,ხოლო კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოტივს უმეტესად ეკონომიკური კაპიტალი განაპირობებს.

ადამიანური კაპიტალი და განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მიზანი

კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა,რომ ჯავახიშვილის და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მთავარი მიზანი არის ის,რომ იყვნენ პროფესიონალები თავიანთ პროფესიაში და ჰქონდეთ კარგი სამსახური.აღნიშნულ კონტექსტში უნდა ვახსენოთ ადამიანური კაპიტალის თეორია,რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია განათლებაში ინვესტიციების ჩადება.ადამიანური კაპიტალის თეორიის მიხედვით სტუდენტთა

უმრავლესობისთვის განათლებაში ჩადებულმა ინვესტიციამ მოგება უნდა მოიტანოს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სტუდენტთა უმეტესობის უმაღლესში ჩაბარებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სპეციალობაში ცოდნის მიღების სურვილმა,გარდა ამისა,გამოვლინდა,რომ მათი უმეტესობის განათლების მიღების სურვილს განაპირობებს დასაქმების სურვილი,მაღალი შემოსავლის მიღების სურვილი,პიროვნული ზრდის სურვილი და ა.შ ხოლო საბოლოო ჯამში გამოვლინდა,რომ ამ ყველაფრის შედეგად მათი განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მიზანი არის არჩეულ პროფესიაში პროფესიონალად ჩამოყალიბება და კარგი სამსახურის შოვნა.მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს,რომ ადამიანს ერთ სიტუაციში შესაძლებელია ჰქონდეს,როგორც გარეგანი მოტივი,კერძოდ კარგი სამსახურის შოვნის სურვილი,ასავე შინაგანი მოტივი,პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი,რადგანაც მოტივაცია მოიცავს როგორც სხვადასხვა პიროვნულ ნიშნებს,ასევე სხვადასხვა გარემოს ფაქტორებს.ადამიანური კაპიტალის თეორიის და რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების შედეგების მიხედვით ჩანს,რომ სტუდენტების აზრით წარსულში დახარჯული ენერგია მომავალში უნდა ანაზღაურდეს(სამინისტრო, 2014, გვ. 3).



დასკვნა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა,რომ გამოკითხული რესპონდენტების უმეტესობის განათლების მიღების მოტივი არის ეკონომიკური(დასაქმება, შემოსავლის მიღება) და კულტურული(ცოდნის გაღრმავება,პიროვნული ზრდის სურვილი,დიპლომი)კაპიტალები.რესპოდენტთა უმეტესობა ორიენტირებულია უმაღლესი განათლების ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე. მათთვის განათლება დასაქმების ეფექტური წინაპირობაა,თუმცა ისინი ფიქრობენ, რომ დასაქმებისთვის და კარგი სამსახურისთვის აუცილებელია ნაცნობობა.

რესპონდენტთა უმეტესობამ უმაღლესი განათლების მიღება თავად გადაწყვიტა და ჩააბარა იმ უნივერსიტეტში სადაც მათ სურდათ.ამ გადაწყვეტილების მიღებაში უმნიშვნელო აღმოჩნდა მშობლების, მეგობრების, ნაცნობების, პედაგოგების როლი. სოციალური კაპიტალის ყველაზე მნიშვნელოვანი სახე კვლევის ფარგლებში არის მშობლების როლი სტუდენტთა ცხოვრებაში, თუმცა საერთო ჯამში ეს კაპიტალი ყველაზე ნაკლებ გავლენას ახდენს, სხვა ჩამოთვლილ კაპიტალებთან შედარებით.

აბიტურიენტობის დროს სტუდენტთა უმრავლესობას სურდა ესწავლა უმაღლესში და მათი განათლების მიღების მოტივი იყო დიპლომის მიღება,ანუ კულტურული კაპიტალი. სტუდენტობის პერიოდში კი მათი დამოკიდებულება განათლების მიღების მოტივის მიმართ შეიცვალა სხვა ფაქტორით,კერძოდ ცოდნის გაღრმავებით,თუმცა კაპიტალის ფორმა არ შეიცვალა და ისევ კულტურული კაპიტალი დარჩა.

აღსაღნიშნავია ის ფაქტი,რომ აბიტურენტობის პერიოდში მათ გარეგანი მოტივი ამოძრავებდათ,რომელიც მათთვის სარგებლის მომტანია და ჯილდოს,კერძოდ დიპლომის მიღებას გულისხმობს. ხოლო სტუდენტობის პერიოდში შინაგანი მოტივი.

კვლევის ჰიპოთეზა,რომ სტუდენტებისთვის განათლების მიღების მოტივზე სოციალურ კაპიტალზე მეტად გავლენას ახდენს ეკონომიკური კაპიტალი გამართლდა. რაც იმას გულისხმობს, რომ სტუდენტებისთვის მთავარია განთლებაში ჩადებული ინვესტიციის ამოღება და არა სოციალური ჯგუფების დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა,რომ კავკასიის და ჯავახიშვილის უნივერსიტეტების სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების მოტივს შორის გამოიკვეთა განსხვავება.კერძდ,კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების განათლების ძირითად მოტივად დასახელდა დასაქმება,რომელიც ეკონომიკური კაპიტალის სახეა,ხოლო ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტების უმაღლესი განათლების მიღების მოტივად დასახელდა ცოდნის გაღრმავება,რომელიც კულტურულ კაპიტალს მიეკუთვნება.გამოვლინდა,რომ საბოლოო ჯამში, ორივე უნივერსიტეტის სტუდენტთა უმეტესობის მოსაზრებით უმაღლეს განათლებაში ჩადებული ინვესტიციის მიზანი არის თავიანთ პროფესიაში პროფესიონალად გახდომა და კარგი სამსახურის შოვნა,რაც გულისხმობს,სტუდენტებში ეკონომიკური და კულტურული კაპიტალების გავლენას.

სტუდენტთა უმრავლესობა საქართველოში განთლების დონეს ნეიტრალურად აფასებს,უნივერსიტეტში სწავლებით კი კმაყოფილები არიან. მათ უმრავლესობას სურს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება და საკუთარი არჩეული პროფესიაზე დასაქმება,რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ისინი კმაყოფილები არიან არჩეული პროფესიით.

აღსაღნიშნავია ის ფაქტი,რომ რესპოდენტთა უმრავლესობას სურს,რომ სამომავლოდ თავისი პროფესიით დასაქმდეს,თუმცა ისინი მიიჩნევენ,რომ თანამედროვე საქართველოში დასაქმებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ნაცნობობა.აღნიშნულიდან გამომდინარე,შესაძლოა ვივარაუდოთ,რომ,თუ საქართველოში დასაქმების მთავარი ფაქტორი ნაცნობობა იქნება,ის სტუდენტები,რომელთა განათლების მიღების მოტივი არის დასაქმება

იმედგაცრუებულები გახდებიან, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი განათლების მიღების მოტივზე.

საჭიროა,რომ სიღრმისეულად მოხდეს ახალგაზრდების უმაღლესი განათლების მიღების მოტივების შესწავლა,რათა გამოვლინდეს მათთვის პრიორიტეტული საკითხები და მეტი ყურადღება დაეთმოს მათ გაუმჯობესებას.მნიშვნელოვანია,რომ უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სტუდენტზე ორიენტირებული გარემოსა და ისეთი სასწავლო პროცესის შექმნა,რაც სტუდენტებს გარკვეულ სფეროში სიღრმისეულ ცოდნას მისცემს,რომელიც ორიენტირებული იქნება მათი,როგორც პიროვნულ,ასევე პროფესიულ განვითარებაზე და ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას,შედეგად შესაძლოა,რომ უფრო მეტად გაძლიერდეს ახალგაზრდების უმაღლესი განათლების მიღების მოტივი და გაიზარდოს მათი განათლების მიღების მიზნის მიღწევის შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფია

Ausubel, D. P. (1968). Educational psychology. A cognitive view. New York.

Becker, G. S. (1964). Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis, with Special Reference to Education. Chicago.

Becker, G. S. (1967). Human Capital and the Personal Distribution of Income:An Analytical Approach. Ann Arbor : Institute of Public Administration. Retrieved from http://unionstats.gsu.edu/9220/Becker(1975)_Human%20Capital_Woytinsky.pdf

Bourdieu , P., & Passeron, J. C. (1990, April 25). Reproduction in education, society and culture. *4*. London. Retrieved from https://carlos.public.iastate.edu/607/readings/bourdieu1.pdf

Bourdieu, P. (1986). The forms of capital. In: Richardson, J., Handbook of Theory and Research for the Sociology of Education. New York, Greenwood. Retrieved from http://www.socialcapitalgateway.org/sites/socialcapitalgateway.org/files/data/paper/2016/10/18/rbasicsbourdieu1986-theformsofcapital.pdf

Brophy, J. (2004). Motivating Students To Learn. London: LAWRENCE ERLBAUM ASSOCIATES. Retrieved from http://www.erasmusgrobina.lv/images/motivation/JereE.Brophy.Motivating-Students.pdf

Dobbins, M., & Khachatryan, S. (2015). Europeanization in the “Wild East”? Analyzing higher education governance reform in Georgia and Armenia. *Higher Education*.

Durglishvili, N. (2017). *Article history: Received 17.* Retrieved from Researchgate: https://www.researchgate.net/publication/324661004_Article_history_Received_17

Europe, C. o. (2004). *კომპასი (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით)*. Retrieved from საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-1l--11-en-00---10-ru-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL1.11.4.1&d=HASH6c26c5bbadf508a0f8f92

Europe, C. o. (2010). ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ. Retrieved from https://rm.coe.int/1680487880

Fitzsimons, P. (2017). *Human Capital Theory and Education.* Retrieved from SpringerLink: https://link.springer.com/referenceworkentry/10.1007%2F978-981-287-588-4_331?fbclid=IwAR3dxkohJijiv72mqftr4YexjsXEVb6YtppN1e5jN020hFm8W0mF8JZZHo0#howtocite

Garnham, N., & Williams, R. (1986). Pierre Bourdieu and the Sociology of Culture: An Intorduction.

Machin, S., & McNally, S. (2007, January). Tertiary Education Systems and Labour Markets. Retrieved from http://www.oecd.org/education/innovation-education/38006954.pdf

Moretti, E. (2004). Estimating the social return to higher education: evidence from longitudinal and repeated cross-sectional data. *Journal of Econometrics*.

Rothes, A., Lemos, M. S., & Gonçalves, T. (2013). Motives and beliefs of learners enrolled in adult education. Portugal, Spain: Elsevier Ltd. Retrieved from https://core.ac.uk/download/pdf/82229626.pdf

Spence, M. (1973, Aug). Job market signalling. *87*. Retrieved from https://pdfs.semanticscholar.org/2d89/1415c5f4faa5d1adf4492c01fc596231353e.pdf

Tohidi, H. (2012, 12 31). *The effects of motivation in education.* Retrieved from ReaserchGate: https://www.researchgate.net/publication/259828455_The_effects_of_motivation_in_education

UNESCO. (2016). Education 2030: Incheon Declaration and Framework for Action for the implementation of Sustainable Development Goal 4: Ensure inclusive and equitable quality education and promote lifelong learning. UNESCO. Retrieved from https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000245656

Шматко, Н. А. (1998). Габитус в структуре социологическои теории. *Журнал социологии и социальнои антропологии*, 72. Retrieved from http://www.jourssa.ru/?q=ru/1998_2

ამაშუკელი, მ., ლეჟავა, დ., & გუგუშვილი, ნ. (2017). განათლების ამონაგები,დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში. თბილისი: ნეკერი. Retrieved from http://css.ge/files/Books/Education%20return/Amashukeli,_Lezhava,_Gugushvili_2017.pdf

ასოციაცია, ს. ა. (1999). *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი.* Retrieved from საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.3&d=HASH790aea670c60b0e653286b.1&gt=1

ახალგაზრდები. (n.d.). Retrieved from გაეროს მოსახლეობის ფონდი: https://translate.google.com/#view=home&op=translate&sl=en&tl=ka&text=united%20nations%20population%20fund

ბაქრაძე, ლ., ლორთქიფანიძე, თ., & ურუშაძე, ნ. (2015). უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. Retrieved from https://eqe.ge/res/docs/ESGinGeorgian_byErasmusGeorgia.pdf

გ.მაჩაბელი, ნ. (2013). *უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და.

გაგოშიძე, თ. (n.d.). *თამარ გაგოშიძე.* Retrieved from World Vision: https://www.wvi.org/

განათლება. (2018). Retrieved from საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/193/ganatleba

განათლების პოლიტიკის, დ. დ. (2013). უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. თბილისი, საქართველო: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. Retrieved from https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf

გიორგი, მ., ანდღულაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., & აფხაზავა, რ. (2013). *უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და.

გოლობი, რ., კრაფი, პ., ოლაფსდოტირი, ო., & ვეიდიგერი, ვ. (2013). განათლება დემოკრატიისათვის. (მ. გვიტიძე, Trans.) Council of Europe. Retrieved from https://rm.coe.int/1680495358

ელბაქიძე, ნ., დალაქიშვილი, ნ., ერაძე, კ., ლობჟანიძე, ს., მელიქიშვილი, მ., ინასარიძე, მ., . . . დანელია, ბ. (2016). *პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.* (მ. ინასარიძე, ნ. ელბაქიძე, & თ. გულუა, Eds.) Retrieved from მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი: http://old.tpdc.ge/?action=page&p_id=1216&lang=geo

კავკასიის ბარომეტრი 2017 საქართველო. (2017). Retrieved from კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი: https://caucasusbarometer.org/ge/cb2017ge/GETJOBF/

მაჩაბელი, გ., ანდღულაძე, ნ., ბრეგვაძე, თ., & აფხაზავა, რ. (2013). *უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე.* თბილისი: განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.

ომანაძე, ს., გაჩეჩილაძე, ნ., ლებანიძე, ა., ჩაჩანიძე, ს., გოგიჩაიშვილი, თ., მინესაშვილი, ს., & გრეჰემი, ს. (2017). *თაობა გარდამავალ პერიოდში(ახალგაზრდობს კვლევა 2016-საქართველო).* თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი. Retrieved from http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2016/Geo_YouthStudy_Georgia_Web.pdf

პარლამენტი, ს. (2004). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. თბილისი, საქართველო: საქართველოს პარლამენტი. Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/download/32830/2/ge/pdf

საზოგადოების განწყობა საქართველოში. (2018, 12). Retrieved from კავკასიის კვლევითი ცენტრი: https://caucasusbarometer.org/ge/nd2018ge/downloads/

სამინისტრო, ს. გ. (2014). *განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები(განსახილველი ვერსია).* თბილისი. Retrieved from https://www.mes.gov.ge/uploads/strategia..pdf

სამინისტრო, ს. გ. (2017, სექტემბერი 30). სამეცნიერო კონფერენცია:ღირებულებები და განათლება. თბილისი. Retrieved from http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/10/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-

%E1%83%97%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf

სამინისტრო, ს. შ. (2015). *შრომის ბაზრის მოთხოვნის კვლევა.* თბილისი.

სართანია, ვ., თოქმაზიშვილი, მ., & მარლაკელიძე, შ. (2004). *განათლების ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის გამომცემლობა.

საქართველოს განათლების, მ. დ. (2017, 10 24). *განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021.* თბილისი. Retrieved from საქართველოს განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტრო: http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%94%E

ქებურია, თ., & ლოცაბერიძე, ს. (2015, სექტემბერი 22). *უმაღლესი განათლება, როგორც საბაზრო პროდუქტი.* Retrieved from ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC): https://emc.org.ge/ka/products/umaghlesi-ganatleba-rogorts-sabazro-produkti

ქეცბაია, კ. (2017). *მაქს ვებერი - ცხოვრება და შემოქმედება: გზამკვლელი სტუდენტებისათვის.* თბილისი.

ქიტაშვილი, ზ. (2016). ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები/. თბილისი. Retrieved from http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/zaqaria_qitiashvili.pdf

ჩახაია, ლ. (2018, 08 22). *უმაღლესი განათლება - კიბე თუ ბარიერი?* Retrieved from პირველი არხი: https://1tv.ge/analytics/umaghlesi-ganatleba-kibe-tu-barieri/

დანართი #1

საკვლევი კითხვარი

გამარჯობა,მე ვარ_____ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრანტი.სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ვატარებთ კვლევას შემდეგ თემაზე: ''უმაღლესი განათლების მიღების მოტივი საჯარო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებში'' მინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენი პასუხების კონფიდენციალობა სრულად იქნება დაცული.გამოკითხულთა პასუხები გააანალიზდება ჯამურად და თქვენი ინდივიდუალური აზრი არსად არ გამჟღავნდება.თქვენი გულწრფელი პასუხები დაგვეხმარება საკვლევ საკითხებზე რეალური წარმოდგენის შექმნაში და პრობლემების უკეთ გაანალიზებაში.

კვლევაში თქვენი მონაწილეობა ნებაყოფლობითია,ინტერვიუზე თანხმობის შემთხვევაშიც კი თქვენ შეგიძლიათ არ უპასუხოთ თქვენთვის არასასურველ ნებისმიერ შეკითხვას.ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 15-20 წუთი.

კითხვარის შევსების ნომერი__ __ __

კითხვარის შევსების ადგილი_____

1.სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

2.ასაკი: *(მიუთითეთ)* _____

3.ოჯახური მდგომარეობა:

1. დაუქორწინებელი
2. დაქორწინებული
3. ვცხოვრობ პარტნიორთან ერთად სამოქალაქო ან რელიგიური ქორწინების გარეშე
4. დაშორებული(ოფიციალურად განქორწინებული არ ვარ)
5. განქორწინებული
6. ქვრივი
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

4. მიუთითეთ რომელ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაში სწავლობთ:

1. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. კავკასიის უნივერსიტეტი

5. მიუთითეთ,რომელ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ:

1. ბაკალავრიატი
2. მაგისტრატურა(შეწყვიტეთ ინტერვიუ)

3. დოქტორანტურა(შეწყვიტეთ ინტერვიუ)

6. მიუთითეთ,რომელ კურსზე სწავლობთ:

1. პირველ კურსზე
2. მეორე კურსზე
3. მესამე კურსზე
4. მეოთხე კურსზე

7. მიუთითეთ სოციალურ და პოლოტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომელ მიმართულებაზე სწავლობთ:

1. პოლიტიკის მეცნიერება
2. საერთაშორისო ურთიერთობები
3. სოციოლოგია
4. სოციალური მუშაობა
5. საზოგადოებრივი გეოგრაფია
6. ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
7. ევროპისმცდნეობა
8. ფსიქოლოგია
9. ინგლისური ფილოლოგია
10. ქართული ფილოლოგია
11. ისტორია

8. მოგიწიათ თუ არა უმაღლესი განათლების მისაღებად საცხოვრებელი ადგილის/ქალაქის შეცვალა?

1. დიახ
2. არა

9. გაქვთ თუ არა მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი?

1. არა
2. დიახ *(მიუთითეთ %)* _____

10. გთხოვთ მითხრათ,ვინ გირჩიათ, თქვენს მიერ მითითებულ უნივერსიტეტში ჩაბარება ?

1. არავინ არ მირჩია,მე თავად მივიღე გადაწყვეტილება
2. მეგობრებმა
3. ოჯახის წევრებმა
4. ნაცნობებმა
5. პედაგოგმა
6. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ერთად
7. სხვა___
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

11.გთხოვთ მითხრათ, ყველაზე მეტად რა ფაქტორმა მოახდინა გავლენა თქვენს მიერ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარებაზე? (გთხოვთ 5-ქულიან შკალაზე შეაფასეთ თითოეული მათგანი, სადაც 1 ნიშნავს "ყველაზე ნაკლებად მოახდინა გავლენა " ხოლო 5 ნიშნავს "ყველაზე მეტად მოახდინა გავლენა")

	1	2	3	4	5	-1	-2
1. საქართველოში დასაქმებისთვის უმაღლესი განათლება აუცილებელია							
2. უმაღლესი განათლების მიღება მშობლების/ნათესაბის/საზოგადოების დაკვეთაა							
3. დიპლომის ფლობა გარკვეული პრესტიჟია							

4. უმაღლესი განათლება გეხმარება,რომ გაერკვე საკუთარ ინტერესებში და მისწრაფებებში							
5. უმაღლესი განათლება აუცილებელია პიროვნული განვთითარებისთვის							
6. სფერო, რომელშიც მე მსურვს დავსაქმდე, აუცილებლად მოითხოვს უმაღლესი განათლების დამდასტურებელი დიპლომის ფლობას							

12. გთხოვთ მითხრათ,რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის უმაღლესი განათლების მიღება? (გთხოვთ შეაფასოთ 5 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს ''ძალიან უმნიშვნელო'' და 5 ნიშნავს ''ძალიან მნიშვნელოვანი'')

1. ძალიან უმნიშვნელო
2.
3.
4.
5. ძალიან მნიშვნელოვანი
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

13. თქვენი აზრით, რა არის უმაღლესი განათლების მთავარი ფუნქცია ? (გთხოვთ შეაფასოთ 5 ბალიან შკალაზე სადაც 1 ნიშნავს "საერთოდ არ არის პრიორიტეტული" და 5 ნიშნავს "ყველაზე პრიორიტეტული")

		2	3	4	5	- 1	- 2
1. სტუდენტების მომზადება მათი ფინანსური დამოუკიდებლობისთვის							
2. ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების,კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება							
3. სტუდენტთა პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება							
4. დემოკრატიული ღირებულებების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება							

5. სტუდენტთა დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება							
6. დიპლომი							

14. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი უნივერსიტეტის არჩევანით?

1.	ძალიან კმაყოფილი ვარ
2.	კმაყოფილი ვარ
3.	არც კმაყოფილი ვარ არც უკმაყოფილო
4.	უკმაყოფილო ვარ
5.	ძალიან უკმაყოფილო ვარ
-1.მიჭირს პასუხის გაცემა	
-2. უარი პასუხზე	

14.1 იმ შემთხვევაში თუ კმაყოფილი ხართ, გთხოვთ მიუთითეთ რა განაპირობებს თქვენს კმაყოფილებას?

14.2 იმ შემთხვევაში თუ უკმაყოფილი ხართ, გთხოვთ მიუთითეთ რა განაპირობებს თქვენს უკმაყოფილებას?

15.**რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს პროგრამაზე სწავლების ხარისხით?**

1.	ძალიან კმაყოფილი ვარ
2.	კმაყოფილი ვარ
3.	არც კმაყოფილი ვარ არც უკმაყოფილო
4.	უკმაყოფილო ვარ
5.	ძალიან უკმაყოფილო ვარ
-1.მიჭირს პასუხის გაცემა	
-2. უარი პასუხზე	

16.გთხოვთ მითხრათ,რამდენად ამართლებს უნივერსიტეტში სწავლის პროცესი თქვენს თავდაპირველ მოლოდინებს? (გთხოვთ შეაფასოთ 5 ბალიან შკალაზე სადაც 1 ნიშნავს "საერთოდ არ ამართლებს" და 5 ნიშნავს "" სრულიად ამართლებს")

1.	სრულიად ამართლებს
2.	უფრო ამართლებს, ვიდრე არ ამართლებს
3.	უფრო არ ამართლებს, ვიდრე ამართლებს
4.	საერთოდარ ამართლებს
-1.მიჭირს პასუხის გაცემა	
-2. უარი პასუხზე	

17. გთხოვთ მითხრათ, უნივერსიტეტში ჩაბარებამდე გსურდათ თუ არა უმაღლესში ჩაბარება?

1.	მსურდა

2. ნაწილობრივ მსურდა
3. მქონდა სხვა ალტერნატივა
4. ნაწილობრივ არ მსურდა
5. არ მსურდა
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

18. გთხოვთ მითხრათ,ამჟამად რა ფაქტორები განაპირობებს თქვენი განათლების მიღების სურვილს? (გთხოვთ თითოეული შეაფასოთ 5 ბალიან შკალაზე, სადაც 1 ნიშნავს "საერთოდ არ ვეთანხმები" და 5 ნიშნავს "სრულიად ვეთანხმები")

	1	2	3	4	5	-1	-2
1. მეგობრებში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა							
2. ოჯახში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა							
3. დასაქმების სურვილი							

4. მაღალი შემოსავალის მიღების სურვილი							
5. დიპლომის მიღების სურვილი							
6. ცოდნის გაღრმავება							
7. პიროვნული ზრდის სურვილი							
8. პროფესიული გამოცდილების მიღების სურვილი							
9. მშობლების მხრიდან დასჯის/გაკიცხვის შიში							
10. ახალი კავშირების შეძენის სურვილი							
11. კონკრეტულ სპეციალობის პრესტიჟულობა							

12. სტუდენტობის ცხოვრების გამოცდილების შეძენის სურვილი							
13. სხვა___							

19. გთხოვთ მითხრათ,ამჟამად რა არის თქვენი განათლების მიღების მთავარი მოტივი? (შემოხაზეთ ერთი პასუხი)

1. მეგობრებში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა
2. ოჯახში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობა
3. დასაქმების სურვილი
4. მაღალი შემოსავალის მიღების სურვილი
5. დიპლომის მიღების სურვილი
6. ცოდნის გაღრმავება
7. პიროვნული ზრდის სურვილი
8. პროფესიული გამოცდილების მიღების სურვილი
9. მშობლების მხრიდან დასჯის/გაკიცხვის შიში
10. ახალი კავშირების შეძენის სურვილი

11. კონკრეტულ სპეციალობის პრესტიჟულობა
12. სტუდენტობის ცხოვრების გამოცდილების შეძენის სურვილი
13. სხვა___
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

20. გთხოვთ მითხრათ,აბიტურიენტობის დროს ყველაზე მეტად რა ფაქტორმა განაპირობა თქვენი განათლების მიღების სურვილი?

1. მეგობრებში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობამ
2. ოჯახში უნივერსიტეტში სწავლის პრესტიჟულობამ
3. დასაქმების სურვილმა
4. მაღალი შემოსავალის მიღების სურვილმა
5. დიპლომის მიღების სურვილმა
6. ცოდნის გაღრმავებამ
7. პიროვნული ზრდის სურვილმა
8. პროფესიული გამოცდილების მიღების სურვილმა
9. მშობლების მხრიდან დასჯის/გაკიცხვის შიშმა
10. ახალი კავშირების შეძენის სურვილმა
11. კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობამ
12. სტუდენტობის ცხოვრების გამოცდილების შეძენის სურვილმა

13. სხვა___
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

21. ახლა რომ იყოთ აბიტურიენტი ჩააბარებდით თუ არა ისევ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში?

1. ჩავაბარებდი
2. არ ჩავაბარებდი
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

22. ახლა რომ აბიტურიენტი იყოთ ჩააბარებდით თუ არა იმავე ფაკულტეტზე?

1. ჩავაბარებდი
2. არ ჩავაბარებდი
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

23. **გაქვთ თუ არა სურვილი,რომ დასაქმდეთ იმ პროფესიით რა პროფესიაზეც სწავლობთ?**

1. მაქვს სურვილი
2. არ მაქვს სურვილი
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

24. გსურთ თუ არა ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდგომ სწავლა გააგრძელოთ მაგისტრატურაზე ან დოქტორანტურაზე?

1. დიახ,მსურს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება.
2. დიახ,მსურს დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელება .

3. დიახ,მსურს მაგისტრატურაზე და დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელება
4. არ მსურს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება
5. არ მსურს დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელება
6. არ მსურს შემდეგ საფეხურებზე სწავლის გაგრძელება
7. ჯერ არ გადამიწყვეტია
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

25.გთხოვთ მითხრათ,რამდენს შეაგდენს თქვენი ფაკულტეტის საფასური?

1. ≤2250
2. 2250-3500
3. 3500≥
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

26.გაქვთ თუ არა კარიერული განვითარების მიზანი?

1. დიახ მაქვს
2. არა არ მაქვს
3. ჯერ არ მიფიქირია
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

27. თუ გაქვთ მიზანი, გთხოვთ მითხრათ,თქვენი აზრით რამდენად დაგეხმარებათ კარიერული მიზნის მიღწევაში თქვენს მიერ მიღებული უმაღლესი განათლება? (შეაფასეთ 5 ბალიან შკალაზე,სადაც 1 ნიშნავს '' საერთოდ არ დამეხმარება'' 5 ნიშნავს '' ძალიან დამეხმარება'')

1. საერთოდ არ დამეხმარა
2.
3.
4.
5. ძალიან დამეხმარა

28.ჩამოთვლილთაგან, რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორაებად საქართველოში კარგი სამსახურის საშოვნელად?

1. ასაკი
2. ნაცნობობა
3. განათლება
4. შრომისმოყვარეობა
5. გამართლება
6. პროფესიონალიზმი
7. ნიჭი
8. სამუშაო გამოცდილება
9. საჭირო ხალხის პატივისცემა
10. ყველა ფაქტორი ერთდროულად
11. სხვა____
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

29. გთხოვთ მითხრათ, რა არის თქვენი განთლებაში ჩადებული ინვესტიციის მთავარი მიზანი?_____

30. გთხოვთ, 5 ბალიან შკალაზე შეაფასოთ საქართველოში ამჟამინდელი უმაღლესი განათლების დონე(სადაც „1 „ არის „ძალიან დაბალი“ , ხოლო „5“ – „ძალიან მაღალი“)

1. ძალიან დაბალი
2.
3.
4.
5. ძალიან მაღალი

31. ხართ თუ არა დასაქმებული?

1. დიახ
2. არა

32. იმ შემთხევვაში თუ დასაქმებული ხართ, მუშაობთ თუ არა თქვენი პროფესიით?

1. დიახ
2. არა

33.გხოვთ მითხრათ, დაახლოებით რამდენს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი ყველა წყაროს გათვალისწინებით?

1. <300
2. 301-400
3. 401-800
4. 801-1200
5. 1201-1600
6. 1601-2000
7. 2001-4000

8. 4001-5000
9. 5001+
-1.მიჭირს პასუხის გაცემა
-2. უარი პასუხზე

დანართი #2

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Keso Gogichadze

Tatia Sharipashvili

The motivation of higher education in public and private university students
(On the example of the faculty of social and political sciences)

Faculty of social and political sciences

MA program-Sociology

The Master's thesis was written for obtaining Master's degree in sociology

Supervisors:

Amiran Berdzenishvili, (TSU) Associate professor

Kakha Ketsbaia, (TSU) Associate professor

Tbilisi,2019